ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## აშშ-ის საელჩომ გვარამიას დაჭერის გამო საქართველო მკაცრად გააკრიტიკა



გვ.5



გვ.5

## ქიბარ ხალვაში ნიკა გვარამიასგან 6,7 მილიონ ლარს ითხოვს

ოთხშაბათი, 18 მაისი, 2022 №96 (8874) ფასი: 80 თეთრი

# „კობახიძე პრეზიდენტს აშანტაჟებს“



გვ.3

„ივანიშვილი თავს უფლებას აძლევს, რომ ქართველ ხალხს, რომელსაც დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ფასი სისხლით აქვს გადახდილი, რომელსაც აფხაზეთის ომი, ცხინვალის ომი აქვს გამოვლილი, უთხრას, ეს ყველაფერი წყალში გადაყარეთო“

შალვა შავგულიძე: „ოცნებას“ დასავლურ სამყაროსთან კონფლიქტში შევყავართ“



## „სანამ ნიკანორ მელია ნაციონალების თავმჯდომარე იქნება, ქუჩა არ მოძლიერდება“



გვ.2

თამარ ჩარკვიანი: „ბოიკოტი თუ გადაწყდა, მაშინ პარლამენტი ყველამ უნდა დატოვოს“



გვ.3

## „ივანიშვილი გვარამიას დაჭერით დასავლეთს ევაჭრება“

დავით ბერძენიშვილი: „3 წელი და 6 თვე ციხე გვარამიასთვის გინესის რეკორდებში შესატანი განაჩენია“

## „ქართული ოცნების“ ნავარდი მთავრდება“



გვ.4

შოთა მალაშხია: „საქართველო რომ სწორ გზაზე დადგება, ნიკა გვარამიასა და სხვა პოლიტდევნილების თავისუფლება თავისით მოვა“



გვ.2

ნინო ლომჯარიამ სალომე ზურაბიშვილს მოუწოდა, გვარამია შეიწყალოს

ირაკლი ზარქუა: „ჩემთვის კარლ ბილდტი კრიმინალია“



გვ.4



გვ.3

პაატა მანჯგალაძე: „ქართული ოცნება“ და ირაკლი კობახიძე აგონიაში არიან“

ირაკლი ღარიბაშვილი ბრიუსელში შარლ მიშელს შეხვდა



გვ.2

1993230720223

5 „ახლა ცხვირის ჩამოშვების კი არა, ბრძოლის დროა“

4 ირაკლი ღარიბაშვილი ბრიუსელში ევროპარლამენტის პრეზიდენტ რობერტა მეცოლას შეხვდა

5 რატომ მიესაჯა ნიკა გვარამიას 3 წელი და 6 თვე სასამართლო განცხადებას ავრცელებს

6 შვედეთმა ნატოში შესვლა გადაწყვიტა

# „სანამ ნიკანორ მელია ნაციონალების თავმჯდომარე იქნება, ქუჩა არ მოძლიერდება“

## თამარ ჩარკვიანი: „ბოიკოტი თუ გადაწყდა, მაშინ პარლამენტი ყველამ უნდა დატოვოს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს თამარ ჩარკვიანი პასუხობს.



***– ქალბატონო თამარ, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? ნიკა გვარამიას დაკავებასთან დაკავშირებით უამრავი შეფასება მოვისმინეთ – ივანიშვილის პირადი პატიმარიაო. თქვენ რას იტყვით, რას ცდილობენ „ქართული ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილი?***

– რატომღაც სულ ვგრძნობდი, რომ დააკავებდნენ. მე ადრეც ვამბობდი, რომ ივანიშვილი ამით ივაჭრებდა. დღეს ივანიშვილმა გვარამია კალათაში მოათავსა სავაჭროდ.

***– რაზე უნდა ივაჭროს?***

– ზუსტად მაქვს ინფორმაცია და, რასაც ახლა გეტყვით, ყურით მოთრეული ჭორი არ არის. ზუსტად ვიცი, რომ ივანიშვილს სანქციები ემუქრება. ეს ინფორმაცია მე თუ მაქვს, თავად უფრო ექნება. მას უკვე მიუვიდა ინფორმაცია, მეტსაც გეტყვით, უკვე ოფიციალურად იცის, რომ მის სანქციებზე სერიოზული საუბარია. გარდაუვალია, რუსეთი აგებს უკრაინასთან ამ ომში! ტერორისტი და დამნაშავე პუტინი აუცილებლად დამარცხდება, უკრაინა კი დასავლეთის გზაზე აყვავდება. ჩვენ კი ძალიან ცუდი დროება გვიდგას, ისეთი, როგორიც არასდროს. არ მაინტერესებს, ვის სჯერა ჩემი გულწრფელობისა და ვის – არა. ჩემი ბავშვობის ამომავალი წერტილია საქართველოს დასავლური გზა. მე ასე ვარ გაზრდილი სახლში! ჯანსუღის განვლილი გზაც ხომ ყველასთვის ცნობილია.

30 წელია, საქართველო სულ ამ დღეშია, ხან ვინ შემოგვიგზავნეს და ხან ვინ. ჩვენც ვიბნევით, რომ მოგვევლინებათ ადამიანი ქველმოქმედად და ყველა ასე ვიცნობდით.

***– ივანიშვილზე საუბრობთ?***

– დიახ. მე ივანიშვილის სახელი და გვარი სულ პირველად ნაციონალური მოძრაობისგან გავიგე. სწორედ მათგან გავიგე ბიძინას ქება-დიდება. ის აფინანსებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს აღჭურვილობას, პატრულს და ასე შემდეგ. როგორც ქველმოქმედი, ასე ვიცოდით შორიდან ყველამ. ძალიან რთულია, რომ მუდმივად ადამიანების გამოცნობაში ვიყოთ. არადა, ეს რუსეთი არ გვეშვება და მუდმივად გვიგდებს „ფეიკებს“. „ფეიკი“ რომ შემოგიგდოს, ის ქველმოქმედის მანტიით უნდა მოგევლინოს. რუსეთის უშიშროებამ ძალიან მარტივად შემოგვაპარა თავისი კაცი ივანიშვილის სახით, რომელიც მთელმა საქართველომ მოვიყვანეთ ხელისუფლებაში. ციხის კადრებმა ყველა ჭკუიდან შეგვშალა, აღელვებული ვართ, რომ ძნელია, ტყუილ-მართალი გაარჩიო. მერე ესეც გაირკვა.

***– დღეს რა ვითარებაა, საით მიჰყავს ქვეყანა „ოცნებას“?***

– სურათი ძალიან მძიმეა. მე სულ ვხვდები ჩვენს დასავლელ კოლეგებს და ყველა გამოკვეთილად ხედავს, რა რეალობაც გვაქვს. არადა, მოვიდა იმის დრო, რომ ევროკავშირში გავწევრიანდეთ. ამ დროს დასავლეთის არც ერთ მითითებას არ ვასრულებთ. არ შევასრულეთ შარლ მიშელის დოკუმენტი. ერთი პუნქტი არ შესრულდა იქიდან, ხალხნო! არ ასრულებს იმ პუნქტებს, რითიც ჩვენ უნდა გავხდეთ დასავლური ოჯახის წევრი. ხომ ვერ გახდები კლანური სასამართლოთი ევროპის ნაწილი! კლანი რომ არის, ამაზე ამერიკის სენატში საუბრობენ! ეს ყველაფერი ნიკა გვარამიას დაპატიმრებამაც დაადასტურა. აქ არ არის მხოლოდ გვარამიას თემა. აქ საუბარია მედიაჰოლდინგზე. ასე თუ გაგრძელდა, ეს კაცი ყველასა და ყველაფერს მიადგება. აქეთ წულუკიანმა დაიწყო ცენზურაზე საუბარი. წულუკიანი არავინ არ არის! ესენი მისი პატარ-პატარა გამხმოვანებლები არიან.

***– როდესაც დასავლეთიდან სტატუსის მინიჭების მოლოდინში ხარ და ამ დროს ქვეყანაში პოლიტიკური დაჭერებია, ეს როგორ აღიქმება დასავლეთში?***

– ეს აბსოლუტური დიქტატურის გამოვლინებაა. რატომ არ დაიჯერა ეს დასავლეთმა სამი წლის წინ, როცა ეს საქმე დაიწყო. აი, რით დასრულდა. მე ამ ყველაფერში ოპოზიციის გარკვეულ ნაწილს ვადანაშაულებ.

***– ოპოზიციას რაში ადანაშაულებთ?***

– არ შეიძლება ასეთი მწვავე უბედურების დროს ასეთი სტაგნაციური ომი. არ ვსაუბრობ პარლამენტში გამოსვლა-შესვლაზე. მე ბოიკოტის უპირობოდ მომხრე ვიყავი, იმიტომ, რომ ძალიან დიდი დისკომფორტი იყო ბიძინა ივანიშვილისთვის ბოიკოტი. ეს არ დაიჯერეს პარტიებმა. ახლა კი ძალიან დიდი სიფრთხილე გვმართებს. მე ვემხრობი ამ შემთხვევაში გადაწყვეტილებას, რომ „ოცნებას“ კომფორტი არ უნდა შევუქმნათ. ბოიკოტი თუ გადაწყდა, მაშინ ყველამ უნდა დატოვოს პარლამენტი. აბა, იქ თუ დარჩა ხუთი პარტია, მაშინ შესრულდება ივანიშვილის სურვილი, რომ ნაციონალური მოძრაობა გამოუშვას გარეთ და დაიტოვოს ლოიალური პარტიები.

***– ანუ ოპოზიცია არ არის ერთსულოვანი ამ შემთხვევაში?***

– არ არის. ამ შემთხვევაში კი ნაციონალები სწორად აზროვნებენ. მე გეუბნებით ამას, ვინც ყოველთვის ბოიკოტის მომხრე ვიყავი. ახლა მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის გამოსვლა არ ივარგებს, თუ ქუჩა არ დახვდა ძლიერი. აი, სანამ ნიკანორ მელია იქნება ამ პარტიის თავმჯდომარე, ნიკანორ მელიას ხელში ქუჩა არასოდეს არ მოძლიერდება! ის სულ მოახერხებს, სტაგნაციაში ამყოფოს პარტია და ამომრჩეველი. ხალხს სჭირდება მობილიზაცია და, როდესაც ამდენი ფინანსები შემოგდის პარტიაში, კეთილი უნდა ინებო და შენ უნდა მოახდინო ხალხის მობილიზაცია. რუსეთთან დაპირისპირებული ორი ლიდერი ჰყავს ივანიშვილს დატყვევებული! ერთის მდგომარეობა ძალიან მძიმდება ყოველდღე, გვარამია კი ახლა შეიყვანეს. ორ ლიდერს უპირებენ ციხეში სიკვდილს. ასეთ დროს ნაციონალური მოძრაობის ადმინისტრაცია არ უნდა ანგრევდეს ყველაფერს?! ამას ხალხი ვერ გააკეთებს. ხალხი საელჩოებში წერილებს ვერ დააგზავნის. ეს უშუალოდ ნიკანორ მელიას გასაკეთებელია!

***– არ აკეთებს საკმარისს ნიკა მელია?***

– მე არ მინდა, ასე პირდაპირ ბრალად დავდო გარიგება, მაგრამ მე გეუბნებით, რომ მისმა სტრატეგიამ, მისმა სტაგნაციურმა ხედვამ არ გაამართლა და არც გაამართლებს! მერე მხოლოდ ხელისუფლების კი არა, მათ კისერზე იქნება ბევრი შეცდომა საქართველოს დამოუკიდებლობის ბრძოლის გზაზე! ასეთი ცუდი დროება საქართველოს არ დასდგომია. თავი არ მოგვეჭრას და არ გამართლდეს მერაბ კოსტავას სიტყვები, იმ ძალიან მაგარი კაცის, როდესაც მან თქვა, რომ დამოუკიდებლობის შენარჩუნება კიდევ უფრო რთულია. დღეს რის გამოა ომი უკრაინაში? რუსეთი სთხოვს ყირიმსა და ნეიტრალიტეტს. აი ჩვენთან ოპოზიციას ივანიშვილისა და რუსეთის ხელით ჩაუდეს პოლიტიკოსი ქალბატონი, რომელიც ზუსტად ყირიმზე ამბობს, რომ ყირიმი არ არის უკრაინა და არც იქნება. ხომ არ ვიტყუები? ეს ხომ ბურჯანაძის სიტყვებია?! პუტინის სურვილების გამხმოვანებელი შემოსვეს ოპოზიციის მაგიდასთან. ხალხი ამ ყველაფერს ხედავს და ასეთი პროცესები თესავს ნიჰილიზმს. დღეს, როგორც არასდროს, ისე გვმართებს გაერთიანება და ჩვენ ყველა უნდა გავერთიანდეთ იმისთვის, რომ საქართველო ვიხილოთ დიდ დასავლურ ოჯახში. დროა, ხალხმა უზარმაზარი განსხვავება დაინახოს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის და მხოლოდ მაშინ იქნება მართალი ბრძოლა.

# ირაკლი ღარიბაშვილი ბრიუსელში შარლ მიშელს შეხვდა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ბრიუსელში სამუშაო ვიზიტით იმყოფება, რომლის ფარგლებშიც იგი ევროკავშირის სხვადასხვა ინსტიტუტის ხელმძღვანელ პირებთან მაღალი დონის შეხვედრებს მართავს.

ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში პრემიერ-მინისტრი ევროპული საბჭოს პრეზიდენტ შარლ მიშელს შეხვდა, რომლის ფარგლებშიც მთავარ განსახილველ საკითხს ევროკავშირში გაწევრიანებისათვის საქართველოს მიერ გაკეთებული განაცხადი და ქვეყნისათვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება წარმოადგენდა.

შეხვედრისას მხარეებმა ვრცლად ისაუბრეს საქართველოს განაცხადის განხილვის პროცესზე, მათ შორის, ევროკომისიის კითხვარზე, რომლის ორივე ნაწილი საქართველომ ვადაზე ადრე შეავსო, აგრეთვე საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების შესრულებისა და დემოკრატიული რეფორმების განხორციელების კუთხით მიღწეულ პროგრესზე. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა საქართველოს ისტორიული არჩევანი, დაუბრუნდეს ევროპულ ოჯახს და ამ კონტექსტში ხაზი გაუსვა ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების თაობაზე ევროკომისიის მოსაზრებისა და ევროპული საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების მნიშვნელობას.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს უკრაინაში რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად რეგიონში შექმნილი უსაფრთხოების გარემო, მათ შორის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება. პრემიერმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა საქართველოს მთავრობისა და ხალხის სოლიდარობა და ურყევი მხარდაჭერა უკრაინის მიმართ. მისი თქმით, ყველასთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ომის დამთავრებას უკრაინაში და რომ ომის შედეგები განსაზღვრავს მომავალ დღეებს როგორც მთელი მსოფლიოსთვის, ასევე საქართველოსთვის.

ირაკლი ღარიბაშვილმა შარლ მიშელს მადლობა გადაუხადა საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე მხარდაჭერის პროცესში პირადი ძალისხმევისთვის.

# ირაკლი კობახიძე: „საელჩოების განცხადებები ძალიან მძიმე და სამწუხარო მოვლენაა“



საელჩოების განცხადებებმაც 2017-19 წელს გვარამიას საშუალება მისცა, განეგრძო „რუსთავი 2“-ის ძარცვა. სამწუხაროდ, დღესაც ვხედავთ იმავეს, რაც ძალიან მძიმე და სამწუხარო მოვლენაა.

ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ პარტიის ოფისში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

კობახიძე მოუწოდებს ყველას, არ გაიმეორონ იგივე და დასაბუთების გარეშე კრიტიკული განცხადებების გაკეთებისგან თავი შეიკავონ.

ჟურნალისტის კითხვაზე: გაეცანით თუ არა ამერიკელი და ევროპელი პარტნიორების შეფასებებს ნიკა გვარამიას დაკავებაზე და მიიჩნევთ, რომ ამერიკა და ევროპა ნაციონალური მოძრაობის სატელიტები არიან? კობახიძემ უპასუხა:

– იგივე განცხადებები კეთდებოდა 2017 წელსაც. სამწუხაროდ, მათ შორის იყო საელჩოების განცხადებებიც, რამაც გვარამიას მისცა საშუალება, რამდენიმე მილიონით გაეძარცვა „რუსთავი 2“. დღესაც გვაქვს იგივე სახეზე. რა დგას ამის უკან, მე არ ვიცი, მაგრამ ეს არის ფაქტი, მოცემულობა. ნაციონალებს რომ ამის რესურსი ჰქონდეთ, ამის არავის სჯერა. ეს სასაცილოა!

ამასთან, მისივე განცხადებით, ფაქტი არის ერთი, რომ 2017 წელს იმ კამპანიაში ჩართული იყვნენ უცხოელი ლობისტებიც.

– ასევე, საელჩოების განცხადებებმაც 2017-19 წელს გვარამიას საშუალება მისცა, განეგრძო „რუსთავი 2“-ის ძარცვა. სამწუხაროდ, დღესაც ვხედავთ იმავეს, რაც არის ძალიან მძიმე და სამწუხარო მოვლენა. ჩვენ არ გვაქვს იმის ილუზია, რომ ნაცმოძრაობა ამხელა მასშტაბის კოორდინაციას ახორციელებს, ბუნებრივია, ჩვენ ამას ვერ ვიტყვით და არ ვიტყვით, მაგრამ არის ძალიან სამწუხარო მოვლენა, რასაც სჭირდება ფაქტის კონსტატაცია. შეფასებაში ჩვენ არ შევალთ. მაგრამ ყველას მოვუწოდებთ, არ გაიმეორონ იგივე, რაც გააკეთეს 2017 წელს, როცა გვარამიას მისცეს დამატებით რამდენიმე მილიონით „რუსთავი 2“-ის გაძარცვის საშუალება და პრაქტიკულად, გაუადვილეს მას იმ დანაშაულის ჩადენა, რომელიც მიმართული იყო მედიასაშუალების, ტელეკომპანიის წინააღმდეგ.

მე ვამბობ ერთ რამეს, რომ კონკრეტულმა კრიმინალებმა ჩაიდინეს კონკრეტული კრიმინალი და როდესაც ამასთან დაკავშირებით ყოველგვარი დასაბუთების გარეშე კეთდება კრიტიკული განცხადება, ეს, რა თქმა უნდა, არის კრიმინალისთვის ხელის დაფარების გარკვეული ფორმა, – განაცხადა კობახიძემ.

# ნინო ლომჯარიამ სალომე ზურაბიშვილს მოუწოდა, გვარამია შეიწყალოს

სახალხო დამცველი საქართველოს პრეზიდენტს მოუწოდებს, „მთავარი არხის“ ხელმძღვანელის, ნიკა გვარამიას, შეწყალების საკითხი განიხილოს.

ნინო ლომჯარია ამბობს, რომ მზად არის, პირადად შეხვდეს სალომე ზურაბიშვილს და პოზიციები გაცვალონ.

ომბუდსმენის განმარტებით, ნიკა გვარამია არის მსჯავრში მიცემული იმის გამო, რაც საქართველოს კანონმდებლობით და არც საერთაშორისო პრაქტიკით არ წარმოადგენს დანაშაულს:

– ადამიანი არის მსჯავრში მიცემული იმის გამო, რაც ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობით, საერთაშორისო პრაქტიკით, არ წარმოადგენს დანაშაულს, ამის მტკიცებულებები გვაქვს, გვაქვს კომპეტენტური სამართლებრივი მოსაზრება და, რა თქმა უნდა, ეს არის პრეზიდენტის კომპეტენცია, რომ თუკი პირის მიმართ დადგა განაჩენი, რაც არ წარმოადგენს დანაშაულს, პრეზიდენტს შეწყალების კომპეტენცია იმისთვის აქვს, რომ ასეთი უსამართლო პრეცედენტები ქვეყანაში არ იყოს, – თქვა ნინო ლომჯარიამ.

ახალი თაობა
ISSN 1987-9385
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ივანიშვილი გვარამიას დაჭერით დასავლეთს ევაჭრება“

## დავით ბერძენიშვილი: „3 წელი და 6 თვე ციხე გვარამიასთვის გინესის რეკორდებში შესატანი განაჩენია“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი პასუხობს.

***– ბატონო დავით, ბევრმა ნიკა გვარამია როგორც ბიძინა ივანიშვილის პირადი ტყვე და პოლიტიკური პატიმარი, ისე შეაფასა. სრულიად სხვა განმარტებები აქვს ხელისუფლებას, რას იტყვით თქვენ, რამდენად სახიფათოა ასეთი დაკავებები?***

– ნიკა გვარამიასთვის 3 წელი და 6 თვე ციხე გინესის რეკორდებში შესატანი განაჩენია. იმ საქმისთვის, რისთვისაც გვარამიას 3 წელი და 6 თვე მიუსაჯეს, ბუნებრივია, არათუ ციხე, არამედ ადმინისტრაციულ დარღვევასაც არ ედავება საქართველოში არავინ მას, ვისაც მანქანა ემსახურება. ის მოსამართლე, რომელიც ამ გადაწყვეტილებას იღებს, სახელმწიფო მანქანას ალბათ ხანდახან გამოიყენებს ხოლმე ხან შვილის სკოლაში წასაყვანად და ხან სხვა მიზნით, მით უმეტეს, როცა ლაპარაკია არა სახელმწიფო მანქანაზე, არამედ კერძო სტრუქტურაზე. ასე რომ, ეს ძალიან თეთრი ძაფებით ვერშეკერილი საქმეა. რა თქმა უნდა, პოლიტიკური მოტივებით არის, რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებაა და ბიძინა ივანიშვილის ადეკვატურობაზე მე რა წარმოდგენებიც მაქვს, ამას არ ვმალავ. ამიტომ ვამბობ, რომ ეს უფრო სხვა სფეროს სპეციალისტების შესასწავლი საკითხია, ვიდრე მარჩიელობა პოლიტიკოსების მხრიდან, თუ რამ განაპირობა მისი ასეთი ქმედება. მძევლად რომ ჰყავს აყვანილი, აშკარაა.

***– თქვენ რას ფიქრობთ, რა მიზნით აიყვანა მძევლად?***

– უფრო დასავლეთს ევაჭრება.

***– რასთან დაკავშირებით ევაჭრება?***

– ბევრი რამ შეიძლება იყოს. ფაქტია, რომ არაადეკვატური გადაწყვეტილებაა. კაცი, რომელიც მთელი წელიწადი ექსპერტებს ზრდიდა იმ იმედით, რომ ეს ექსპერტები მომდევნო წელიწადში ქართველი მოსახლეობისგან ქართველ საზოგადოებას გამოზრდიდნენ. როდესაც ძალიან მწარე ღიმილით შევცქეროდი ამას და დამთამაშებდა დამცინავი იერიც, მითხრა, ხომ იცინი, იცინე და ვნახოთ, ერთ წელიწადში რა შედეგები მექნებაო. რა შედეგები ჰქონდა, კი ვიცით. ეს მარტო მე კი არ ვიცი, ეს თინა ხიდაშელმაც იცის და ბევრმა, ვინც იმ უმრავლესობის უმცირესობაში ვიყავით კოალიციის არსებობის პირველ წლებში.

***– როდესაც ერთად იყავით, მაშინაც ასეთი იყო ბიძინა ივანიშვილი?***

– მაშინ მთლად ასეთად ყოფნის საშუალებას არ ვაძლევდით, იმიტომ, რომ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა რესპუბლიკელებისა და თავისუფალი დემოკრატების ხელში იყო. გავიხსენოთ, ვინ იყო თავდაცვის მინისტრი, ვინ იყო საგარეო მიმართულების ხელმძღვანელი და ვინ იყო პარლამენტის თავმჯდომარე. წამყვანი საგარეო პოლიტიკური ორიენტირები რესპუბლიკელებისა და თავისუფალი დემოკრატების ხელში იყო.

***– ამიტომაც აღარ მოეწონა ასეთი ერთობა?***

– არა, არც ჩვენ მოგვეწონა, რადგან შეუძლებელი იყო მისი კონტროლი სულ უფრო და უფრო. რაც ფეხი მოიკიდა, მერე სულ უფრო დაეყრდნო საკუთარ ფსევდოპარტიას და, ბუნებრივია, ჩვენ ერთმანეთი აღარ მოგვეწონა, ვეღარ შევძელით მისი უხიაგობის კონტროლი. 2014-ის შემოდგომაზე, თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, დავინახე, რომ



**„ივანიშვილი ძალიან უცნაურად აზროვნებს. ჩვენ, უბრალო მოკვდავნი, ამას აკვიატებას ვეძახით“**

მასთან თანამშრომლობამ პოზიტიური შესაძლებლობები ამოწურა, რადგან ვიზალიბერალიზაციისაკენ გზა გავიკვალეთ და მივაღებინეთ ანტიდისკრიმინაციული კანონი, მას შემდეგ ვერ ვხედავდით მასთან ყოფნის საჭიროებას.

***– და მან თქვენი პარტიის დაშლაც გამოიწვია.***

– სამწუხაროდ, რესპუბლიკური პარტიის ერთი ნახევარი ამ ჭკუაზე ვიყავით, მეორე ნახევარი ცდილობდა, ჯერ კიდევ გამოეყენებინა ივანიშვილის ხელისუფლება ქვეყნის ევროატლანტიკურ სივრცესთან მიახლოებაში. ამ საკითხში ჩემი და დათო უსუფაშვილის აზრები განსხვავდებოდა. პარტია არ გავყავით 2014-ში, პარტიის ერთიანობის შენარჩუნება ვამჯობინეთ პარტიის დაშლას. 2016-ში ვერც ერთიანობა შევინარჩუნეთ და პარტიაც დაიშალა. დრომ დაადასტურა ის, რომ ვისაც ივანიშვილის პოზიტივი ამოწურულად მიგაჩნდა 2014-სა და 2015-ში, სამწუხაროდ, კარგა ხანია, ასევე ამოწურულად მიაჩნია იმ ხალხს, ვინც ერთხანს კიდევ აპირებდა ივანიშვილთან თანამშრომლობას. ძალიან რთული იყო მასთან თანამშრომლობა. ძალიან უცნაურად აზროვნებს. ჩვენ, უბრალო მოკვდავნი, აზროვნებას რომ არ ვეძახით და აკვიატებას ვეძახით, აი, ისე აზროვნებს ეს კაცი. მას აქვს პერმანენტული ბრძოლა საკუთარ თავთან, იმიტომ, რომ სულ უფრო და უფრო უჭირს, დაარწმუნოს საკუთარი თავი და მით უმეტეს გარშემომყოფნი, ღარიბმა კაცმა მილიარდები იმიტომ იშოვა, რომ გენიოსია. აი, ამაში უნდა, საკუთარი თავი დაარწმუნოს, თუმცა მუდმივად ეეჭვება, რომ იქნებ გენიოსი კი არ არის, უბრალოდ, ქერის ორმოში ჩაყო ხელი და გაუმართლა.

***– ბატონო დავით, ბევრს უჩნდება ეჭვი, მიზანმიმართულად ხომ არ აზიანებს „ოცნება“ ევროპისკენ მიმავალ გზას?***

– ობიექტური შედეგით ის, რა თქმა უნდა, აზიანებს. აზიანებს ამას მიზანმიმართულად თუ აზიანებს თავისი აკვიატებების გამო და რომელში რა წილია, ამაზე პირდაპირი პასუხი არა მაქვს. ვისაც აქვს პასუხი, მათი პასუხიც მარჩიელობაა, თუმცა შედეგი ქვეყნისთვის თავისთავად ძალიან ცუდია. რა მნიშვნელობა აქვს, რომელი მოტივით აკეთებს ამას.

# „კობახიძე პრეზიდენტს აშანტაჟებს“

## შალვა შავგულიძე: „ოცნებას“ დასავლურ სამყაროსთან კონფლიქტში შევყავართ“

ნათია ხურცილავა

საქართველოს პარლამენტის ოპოზიციონერი დეპუტატი შალვა შავგულიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.



***– ბატონო შალვა, ევროკავშირის მიმართულებით გახსნილი შესაძლებლობების პარალელურად, ნიკა გვარამიას დაპატიმრება არის ამ შესაძლებლობებზე უარის თქმა?***

– რა თქმა უნდა! პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ ეს არის იმ პოლიტიკის ნაწილი, რომელსაც ივანიშვილი ახორციელებს. რეალურად, ივანიშვილი გეგმაზომიერად ასრულებს იმ დავალებას, რომელსაც ჰქვია დასავლური ვექტორის, დასავლური კურსის შეცვლა. როგორც აღმოჩნდა, 2011 წელს, როდესაც მან პირველად გააკეთა განაცხადი პოლიტიკაში მოსვლაზე, სწორედ ამ მიზნით იყო განპირობებული.

ქველმოქმედებაც, რომელსაც ის ეწეოდა, ამ პოლიტიკის ნაწილი იყო. მისი ქველმოქმედება კონკრეტული ადამიანებისთვის ფინანსურ დახმარებაში გამოიხატებოდა. თუ ეს ადამიანები მისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო განცხადებებს გააკეთებდნენ ან იმოქმედებდნენ, დახმარება ეხსნებოდათ. ჩნდება კითხვა – რატომ არ გახსნა არც ერთი საწარმო, არც ერთი ქარხანა, სადაც ამ ქვეყნის მოქალაქეები დასაქმდებოდნენ და თავიანთ სარჩოს თვითონ გამოიმუშავებდნენ?! რატომ უნდა ყოფილიყვნენ ადამიანები ივანიშვილის სამსახურში მთელი ცხოვრება, რატომ უნდა ყოფილიყვნენ მისგან დავალებულები?!

ან რატომ არ აფინანსებდა ახალგაზრდების საზღვარგარეთ, დასავლეთში განათლების მიღებას?! დასავლური განათლებით ეს ახალგაზრდები შემდეგ სამშობლოში დაბრუნდებოდნენ და ქვეყანას გამოადგებოდნენ, მაგრამ არა!

ახლა მაქვს იმ კითხვაზე პასუხი, თუ რატომ აიფარა ფარად დასავლური ორიენტაციის პარტიები „თავისუფალი დემოკრატები“, „რესპუბლიკური პარტია“ და შემდეგ როგორ დაშალა ეს პარტიები.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ რუსული დროშით ხელისუფლებაში ვერ მოვიდოდა. ეს მაშინ სრულიად წარმოუდგენელი იყო. პირველი, რაც ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გააკეთა, იყო სახელმწიფო ინსტიტუტებზე კონტროლი, რადგან ასე უფრო მარტივია ქვეყნისთვის ვექტორის, საგარეო ორიენტირის შეცვლა. ამ პოლიტიკის მთავარი შემადგენელი მედიის სრული კონტროლია.

როგორც ჩანს, ნიკა გვარამიამ ჯერ „რუსთავი 2“-ზე, შემდეგ უკვე „მთავარ არხზე“ იმდენად შეაწუხა, რომ ციხეში გაისტუმრა.

***– ბატონო შალვა, როგორც იურისტს, ირაკლი კობახიძის განცხადებაზე მინდა გკითხოთ. ის ამბობს, რომ გვარამია განსაკუთრებით პრეზიდენტის მიმართ გამოირჩეოდა ბილწსიტყვაობით – თუ ზურაბიშვილი შეწყალების გადაწყვეტილებას მიიღებს, გამოდის, ის არ იცავს პრეზიდენტის ინსტიტუტს. ეს არის პრეზიდენტზე ზეწოლა?***

– რა თქმა უნდა, ეს არის პრეზიდენტზე პირდაპირი ზეწოლა, შანტაჟი. კობახიძის ეს განცხადება ნაკარნახევია იმ შიშით, რომ პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა ნიკა გვარამია არ შეიწყალოს. თუმცა, კობახიძე რას იტყვის, არ უნდა იყოს არავისთვის საინტერესო.

***– თქვენ მოვლენების როგორ განვითარებას ელოდებით, რაში ხედავთ გამოსავალს?***

– ვისაც ამ რეალობასთან შეგუება არ გვინდა და გვინდა, დასავლური, ცივილიზებული ევროპის ნაწილი ვიყოთ და არა პუტინის რუსეთის, მაშინ მზად უნდა ვიყოთ ხანგრძლივი, სერიოზული ბრძოლისთვის. ვერ გავიზიარებ იმ მოსაზრებას, რომ პირადი მტრობით, შურისძიებითა თუ დასჯით არის ეს ყველაფერი გამოწვეული – არა, ეს არის გეგმაზომიერი პოლიტიკის ნაწილი, რომელსაც ეს კაცი ამ ქვეყანაში 2012 წლიდან ატარებს.

მე ვიყავი „ქართული ოცნების“ შემადგენლობაში, საკანონმდებლო პოლიტიკის პულსზე ხელი მედო და კარგად ვგრძნობდი მაჯისცემას, ვგრძნობდი, საით მიდიოდა ეს ყველაფერი. პირადად ვიყავი ჩართული სასამართლოს, პროკურატურის რეფორმის, მოსმენების კანონის შემუშავებაში, მაგრამ, როდესაც მწარე რეალობას შევეჩეხე, როდესაც არაფერი გამოვიდა, 2014 წლის შემოდგომაზე ხელისუფლება დავტოვე. აშკარა იყო, რომ რუსული ტიპის სახელმწიფოს აკეთებდა. როდესაც სახელმწიფო შტოებს შორის ურთიერთკონტროლისა და ურთიერთდაბალანსების პოლიტიკა მოშლილია, მაშინ ვერ ააშენებ დემოკრატიულ, ევროპული ტიპის სახელმწიფოს. ეს გამორიცხულია.

ივანიშვილი თავს უფლებას აძლევს, რომ ქართველ ხალხს, რომელსაც დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ფასი სისხლით აქვს გადახდილი, რომელსაც აფხაზეთის ომი, ცხინვალის ომი აქვს გამოვლილი, უთხრას, ეს ყველაფერი წყალში გადაყარეთო. დასავლურ სამყაროსთან კონფლიქტში შევყავართ. საზოგადოებას არჩევანის წინაშე აყენებს – მაინც არასდროს გავხდებით ევროკავშირისა და ნატოს ნაწილი და ისევ რუსეთისკენ გავიხედოთ. მარტივად დასანახია ეს პოლიტიკა. არ გამოვა ასე. რაც არ უნდა დიდი ფული ჰქონდეს, ხალხის ნების წინააღმდეგ ვერავინ ვერ წავიდა ამ ქვეყანაში და ვერც ივანიშვილი წავა.

**„ივანიშვილი თავს უფლებას აძლევს, რომ ქართველ ხალხს, რომელსაც დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ფასი სისხლით აქვს გადახდილი, რომელსაც აფხაზეთის ომი, ცხინვალის ომი აქვს გამოვლილი, უთხრას, ეს ყველაფერი წყალში გადაყარეთო“**

# პაატა მანჯგალაძე: „ქართული ოცნება“ და ირაკლი კობახიძე აგონიაში არიან“

– ჩვენ ვიქნებით ყველა იმ აქციაზე, სადაც საქართველოს ევროპულ მომავალსა და საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვაზე იქნება საუბარი – „ქართული ოცნება“ და ირაკლი კობახიძე აგონიაშია, რადგან მისი ბატონისა და მამა-მარჩენალის ქონებას საფრთხე დაემუქრა.

ამის შესახებ „სტრატეგია აღმაშენებლის“ დეპუტატმა პაატა მანჯგალაძემ განაცხადა.

მისი თქმით, ის ნიკა გვარამიას მხარდასაჭერად დაგეგმილ აქციას შეუერთდება, რადგან პროცესები, რაც ქვეყანაში განვითარდა, მიმართულია სიტყვის თავისუფლების და საქართველოს ევროპული არჩევანის წინააღმდეგ.

„სტრატეგია აღმაშენებელი“ პროცესს ხედავს არა როგორც ერთი ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ ნაბიჯებად, არამედ ეს არის ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის საწინააღმდეგოდ მიმართული პროცესი, შესაბამისად, თუ ევროპული ინტეგრაციის პროცესს, ჩვენს ისტორიულ ცივილიზაციურ არჩევანს მიადგება საფრთხე, „სტრატეგია აღმაშენებელი“ დადგება იქ, სადაც საქართველოს, ხალხს სჭირდება.

– შესაბამისად, ჩვენ ვიქნებით ყველა იმ აქციაზე, სადაც საქართველოს ევროპულ მომავალზე და საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვაზე იქნება საუბარი, ყველა აქციაზე, რომელიც იქნება მშვიდობიანი, არაძალადობრივი, კონსტიტუციის ფარგლებში ჩატარებული.



სიამოვნებით ვიქნებით აქციაზე. ეს არის ჩვენი სიტყვის თავისუფლების დასაცავი აქცია, ხოლო სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა არის საშუალება იმისთვის, რომ საქართველო დატოვონ რუსეთის პირისპირ.

იმას, რა გადაწყვეტილებაც გამოიტანა ბიძინა ივანიშვილის კარის სასამართლომ, რომელსაც კომპრომატების ძალით მართავს, არაფერი საერთო არ აქვს სამართალთან.

იმ ვითარებაში, როცა საქართველოს ისტორიული შანსი აქვს, გახდეს ევროპის ნაწილი, გვყავს ხელისუფლება, რომელიც ამას არ ასხივებს, ამის გამო ვწუხვართ, აგონიაში არ ვართ და აგონიაში თუ ვინმე არის, არის „ქართული ოცნება“, ირაკლი კობახიძე, რადგან მისი ბატონისა და მამა– მარჩენალის ქონებას დაემუქრა საფრთხე, საფრთხე დაემუქრა ვერტმფრენს, რომლითაც უსაფრთხოდ უნდა გადაადგილებულიყო, საფრთხე დაემუქრა მის ნახატებს, რომელშიც ინვესტიცია ჩადო და თანხას, რომელსაც ელოდებოდა ბანკისგან, ამის გამო „ქართული ოცნება“ გვეუბნება, რომ უნდა შეიკრიბოს საქართველოს ღარიბი მოსახლეობა და მთელი ძალისხმევა მიმართოს ბიძინას ფულის გადასარჩენად, ამაზე მეტი პასაჟური სახე, სიურეალისტური სურათი, არქიფოსეთურთან ამაზე მეტი მსგავსება მე არ მინახავს, – განაცხადა მანჯგალაძემ.

# „ქართული ოცნების“ ნავარდი მთავრდება“

## შოთა მალაშხია: „საქართველო რომ სწორ გზაზე დადგება, ნიკა გვარამიასა და სხვა პოლიტდევნილების თავისუფლება თავისით მოვა“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ ესაუბრა ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერს, ყოფილ დეპუტატს შოთა მალაშხიას.



***– ტელეკომპანია „მთავარის“ დამფუძნებლის, ნიკა გვარამიას დაპატიმრებამ, მისთვის პატიმრობის მისჯამ კიდევ ერთხელ წამოსწია საქართველოს მართლმსაჯულების საკითხი. სასამართლოს უსამართლობაზე ისევ ალაპარაკდნენ საზოგადოება და საგარეო პარტნიორები. რას იტყვით?***

– ნიკა გვარამიას პატიმრობა, ასევე სხვა მოვლენები ადასტურებს, რომ ახლანდელი მდგომარეობა დასასრულისკენ მიდის.

***– ხელისუფლების დასასრულზე მიანიშნებთ?***

– რასაკვირველია. რაც უფრო უახლოვდებათ კრახი, ფინალი, მით უფრო მკაცრად და უსამართლოდ ექცევიან ადამიანებს, განსაკუთრებით – აქტიურ პიროვნებებს, იქნებიან ისინი მედიის წარმომადგენლები თუ პოლიტიკური ოპოზიციონერები. ნათლად ჩანს, რომ ეს მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდება და ეს ხელისუფლება, რომელიც არის პრორუსული ძალა, ჩანაცვლება დასავლური ძალებით. ხელისუფლება რომ შეიცვლება, მართლმსაჯულებასაც მაშინ ეშველება და შეიქმნება ნორმალური სასამართლო.

***– „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები იხტიბარს არ იტეხენ. ისინი კომენტარს აკეთებენ ნიკა გვარამიას დაპატიმრებაზე და ამბობენ, რომ მედიაში მუშაობა ჯავშანს არ ნიშნავს.***

– ამ შემთხვევას ეს გამოთქმა არ შეესაბამება, საერთოდ კი სწორი აზრია. ბუნებრივია, რომ ჯავშანი არავის უნდა ჰქონდეს – არც პოლიტიკოსს, არც ჩინოსანს, არც მედიამფლობელსა თუ მენეჯერს, ჟურნალისტს. ამ სწორ ფრაზას ახლანდელ მმართველ გუნდს მოგვიანებით შევახსენებთ.

***– რას გულისხმობთ?***

– ყველას არ ჩაუდენია დანაშაული, მაგრამ ამ ხელისუფლებაში ბევრია დანაშაულში გარეული. ესაა უკანონო ტენდერები, უკანონო ბიზნესი, რუსეთთან კავშირები. ბევრმა ხელი მოითბო და ძალიან გამდიდრდა მაშინ, როცა საქართველოს მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობა უკიდურესად გაღარიბდა. დანაშაული არავის შერჩება და ჯავშანი არავის ექნება. ყველას მოეკითხება.

***– ნიკა გვარამიას საკითხზე შეკრებილი საზოგადოება (პარტიები და არასამთავრობო ორგანიზაციები) შეთანხმდნენ მოქმედებების კოორდინაციაზე. როგორი უნდა იყოს პროტესტი?***

– როგორც გითხარით, „ქართული ოცნების“ ანუ რუსული ხელისუფლების ნავარდი მთავრდება. ჩვენ საქმე გვაქვს რუსულ ხელისუფლებასთან. რუსულ იმპერიას მსოფლიომ განაჩენი გამოუტანა. რუსეთის იმპერია სულს ღაფავს. ამას ადასტურებს მოვლენები უკრაინაში. რუსეთის იმპერიას უფსკრულში ჩაჰყვებიან სხვა რუსული ხელისუფლებები. ასეთ დროს კოორდინაცია ბუნებრივი და სავალდებულოა.

***– ე.ი. ნიკა გვარამიას საკითხი ერთ-ერთი უნდა იყოს ამ კოორდინაციის დროს?***

– ერთ-ერთი განსახილველი საკითხი ნიკა გვარამია იქნება, ერთ-ერთი – მიხეილ სააკაშვილი. იყვნენ და არიან პოლიტიკური ნიშნით დაკავებული და დევნილი სხვა ადამიანები. ბევრი მათგანი უკრაინაშია. სხვა თემებზეც უნდა შევთანხმდეთ. რუსულ ხელისუფლებას რომ ჩამოვიშორებთ, მივხედავთ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას. ეს უდიდესი პრობლემა რუსულმა ხელისუფლებამ მიაფუჩეჩა. სამწუხაროდ, რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიებიდან (აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი) უკრაინაში არიან წასული მებრძოლები. ისინი იბრძვიან რუსეთის მხარეს და რუსებთან ერთად ხოცავენ მშვიდობიან მოსახლეობას, მათ შორის ბავშვებს და მონაწილეობენ ომის სხვა მძიმე დანაშაულებში. ისინი აუცილებლად გასამართლდებიან და დაისჯებიან. ამჟამად ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობასთან, რომელსაც დანაშაული არ ჩაუდენია, დავამყარებთ კარგ ურთიერთობას.

***– ხელისუფლებამ შეავსო კითხვარი ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად. ევროკომისია პასუხებს შეაფასებს. ამჟამად ბრიუსელში იმყოფება პრემიერი ღარიბაშვილი. ხელისუფლების თქვენეული დახასიათება როგორ ერწყმის ამ ევრონაბიჯებს?***

– ეს ხელისუფლება იანუკოვიჩის მსგავსად იქცევა. როცა იანუკოვიჩი უკრაინის პრეზიდენტი იყო, ისიც არწმუნებდა დასავლეთს, რომ ევროინტეგრაციის გზას დაადგა. მერე ამას ბოლო მოუღო. იანუკოვიჩს რა მოუვიდა, ყველამ იცის. ევროკავშირის წევრობა რომ გინდოდეს, ბრიუსელში ვიზიტის წინ ოპოზიციური არხის დამფუძნებელსა და მენეჯერს დააპატიმრებდი?! რა გზავნილია ეს ევროპისათვის? ამას უკვე მოჰყვა მკაცრი შეფასებები და კიდევ იქნება კრიტიკა. ეს სპეციალურად გაკეთდა.

***– რა მიზნით? საქართველომ რომ წევრობის კანდიდატის სტატუსიც კი ვერ მიიღოს?***

– ცხადია. ამათ ხომ, სინამდვილეში, ევროკავშირში შესვლა არ უნდათ. ნიკა გვარამიას გარდა, ასევე პოლიტიკური ნიშნით არის დაპატიმრებული მიხეილ სააკაშვილი. ორივე პოლიტიკურად აქტიური ადამიანია, ერთი – მესამე პრეზიდენტი, თან – უკრაინის მოქალაქე, რომლის უფლებები არაერთხელ უხეშად დაარღვიეს. ეს ხდება პუტინის საამებლად. ხელისუფლება მოქმედებს რუსეთის მითითებებით. როცა ასეა, რა აზრი აქვს შეწყალებაზე საუბარს!

***– ზოგს იმედი აქვს, რომ პრეზიდენტი გვარამიას მაინც შეიწყალებს..***

– საქართველო რომ სწორ გზაზე დადგება, გვარამიასა და სხვა პოლიტდევნილების თავისუფლება თავისით მოვა. ნიკა გვარამიასა და მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლება კარგია, მაგრამ ჯერ არ გამოდის. ჩვენ სიტუაცია უნდა შევცვალოთ და შემდეგ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული, დაკავებული და დევნილი დაბრუნდება და გათავისუფლდება.

***– რუსეთის იმპერიის მოსალოდნელი დასასრული და დასუსტება ახსენეთ. მოკლედ როგორ შეაფასებთ უკრაინაში დღეს არსებულ ვითარებას?***

– რუსეთის იმპერია ორ-სამ დღეში აპირებდა მიზნის მიღწევას – უკრაინის „დემილიტარიზაცია-დენაციფიკაციას“, სხვა ამოცანებიც ჰქონდა. სამ თვეზე მეტი გავიდა და უკვე სხვანაირად ალაპარაკდა. ახლა კრემლი უკრაინის კაპიტულაციაზე კი საუბრობს, იმას ამტკიცებს, რომ თვითონ არ მოაწერს ხელს კაპიტულაციას. ასე რომ, რუსეთი კედელთან არის მიყენებული და კაპიტულაციამდე ბევრი არაფერი უკლია. რუსეთის მარცხი „რუსული ოცნების“ მარცხსაც ნიშნავს.

# ირაკლი ზარქუა: „ჩემთვის კარლ ბილდტი კრიმინალია“




– ჩემთვის კარლ ბილდტი არის კრიმინალი, რომელიც სააკაშვილისა და მისი პარტიის პარტნიორია და წლების განმავლობაში ლობისტობდა მის ინტერესებს, კრიმინალ სააკაშვილის ინტერესებს.

ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ირაკლი ზარქუამ განაცხადა, რითაც უპასუხა კითხვას, ეთანხმება თუ არა ირაკლი კობახიძეს, რომ გარკვეული საერთაშორისო პარტნიორები კრიმინალებს მფარველობენ.

ზარქუას განცხადებით, „ფასიანი ლობისტები ნამდვილად ასე იქცევიან“.

ის ასევე გამოეხმაურა სენატორ ჯიმ რიშისა და სხვა საერთაშორისო პარტნიორების განცხადებებს ნიკა გვარამიას დაკავებასთან დაკავშირებით და შემდეგი კითხვით მიმართა მათ – „არაერთი მაგალითია მსგავსი მათ შორის, ევროპაში, აშშ-ში, გამოვიდეთ და ვთქვათ, რომ ეს არის პოლიტიკური ზეწოლა მედიაზე?!“

– რაც შეეხება საერთაშორისო გამოხმაურებებს, ეს მოსალოდნელი იყო, ჩვენ ეს გამოვიარეთ 2017 წელს „რუსთავი 2“-ის თემაზე, ამოიღეთ მესიჯები ენჯეოშნიკენის, ცნობილი ჟურნალისტების, ევროპარლამენტარების, სენატის წარმომადგენლებისგან, ფასიანი ლობისტებისგან, ერთი ერთში ემთხვევა დღევანდელ მესიჯებს, რომ „ეს არის დემოკრატიის დასასრული,“ „დიქტატურა მყარდება“, „მედია აღარ არსებობს“, შემდეგ, როგორც კი სტრასბურის სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველოს სასამართლოს ყველა ინსტანციაზე სამართლიანი სასამართლოს უფლება იყო დაცული, ხმა არ ამოუღია არც ერთს, გაქრნენ საერთოდ.

ზუსტად იგივე სცენარია ახლაც. მე მივმართავ ჩვენი ქვეყნის ყველა გულშემატკივარს, მათ შორის, ევროპარლამენტარებს, სენატის წარმომადგენლებს, ყველას, თქვენს ქვეყანაში ანალოგიური დანაშაული რომ ჩაედინა ვინმეს, იქნებოდა თუ არა ინდულგენცია, რომ ის არის მედიის ხელმძღვანელი, ჟურნალისტი, გამოხვიდოდით და იტყოდით, რომ ეს არის მედიაზე ზეწოლა?! არაერთი მაგალითია მსგავსი მათ შორის, ევროპაში, აშშ-ში, გამოვიდეთ და ვთქვათ, რომ ეს არის პოლიტიკური ზეწოლა მედიაზე?!

ძალიან გთხოვთ, ეს არის სამართლებრივი სახელმწიფო, რომელიც კანონით, კონსტიტუციით ცხოვრობს და გვინდა ვიყოთ სახელმწიფო, სადაც სტატუსი არაფერს ნიშნავს, როცა დანაშაული გაქვს ჩადენილი, ასეთ სახელმწიფოს ვაშენებთ და დიდი იმედი გვაქვს თქვენი გვერდში დგომის. თუ კითხვები გაქვთ, არის შესაძლებლობა ჩაერთოთ, პასუხები მიიღოთ და ამის შემდეგ თუ კიდევ დაგრჩებათ კითხვები, მერე კი ბატონო, შეგიძლიათ ასეთი განცხადებები აკეთოთ, – განაცხადა ზარქუამ.

# სენატორი ჯიმ რიში მიიჩნევს, რომ ნიკა გვარამია „პოლიტიკურად მოტივირებული ბრალდებებით“ დააკავეს



აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობების კომიტეტის წევრი, სენატორი ჯიმ რიში, „მთავარი არხის“ დამფუძნებლის, ნიკა გვარამიას დაპატიმრებას ეხმიანება და აცხადებს, რომ ის პოლიტიკურად მოტივირებული ბრალდებების საფუძველზე დააკავეს.

„ნიკა გვარამიას, ქართული მედიასაშუალების – მთავარი არხის დირექტორს, პოლიტიკურად მოტივირებული ბრალდებებით 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. პოლიტიკური ოპოზიციის გაჩუმება საქართველოს ძალიან შემაშფოთებელი მიმართულებით წაიყვანს. კანონის უზენაესობა და თავისუფალი პრესა აუცილებელია დემოკრატიისთვის“, – წერს ამერიკელი სენატორი.

ცნობისათვის, „მთავარი არხის“ დამფუძნებელი ნიკა გვარამია, რომელიც სასამართლომ დამნაშავედ ცნო, სხდომათა დარბაზშივე დააკავეს. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ, ლაშა ჩხიკვაძემ ნიკა გვარამია ნაწილობრივ დამნაშავედ ცნო, მის მიმართ წარდგენილი მუხლების ნაწილი 220-ე მუხლით გადაკვალიფიცირდა და მას სასჯელის სახით 3 წელი და 6 თვე განესაზღვრა.

# ირაკლი ღარიბაშვილი ბრიუსელში ევროპარლამენტის პრეზიდენტ რობერტა მეცოლას შეხვდა



ირაკლი ღარიბაშვილი ბრიუსელში ევროპარლამენტის პრეზიდენტ რობერტა მეცოლას შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ბრიუსელში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, ევროპარლამენტის პრეზიდენტ რობერტა მეცოლას შეხვდა.

შეხვედრაზე მთავარი განსახილველი თემა იყო ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მიღების პერსპექტივები. პრემიერის თქმით, ქვეყანა აფასებს ევროპარლამენტისა და ევროკავშირის ინსტიტუტების ურყევ მხარდაჭერას ევროპული ინტეგრაციის გზაზე, განსაკუთრებით კი საქართველოსთვის ისეთ მნიშვნელოვან დროს, როდესაც ქვეყანა ევროკომისიის შეფასებისა და საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების მოლოდინშია.

შეხვედრაზე აღინიშნა რეგიონში უსაფრთხოების კუთხით არსებული ვითარება. პრემიერმა კიდევ ერთხელ გამოხატა საქართველოს სოლიდარობა უკრაინელების მიმართ, ასევე, აღნიშნა რომ ამ დროისთვის უკრაინელი ხალხის დასახმარებლად საქართველოდან საჰაერო და სახმელეთო გზებით უკრაინაში 500 ტონაზე მეტი ჰუმანიტარული ტვირთი გაიგზავნა.

გაფართოებული შეხვედრის შემდეგ კი პრემიერ-მინისტრმა და ევროპარლამენტის პრეზიდენტმა პირისპირ შეხვედრა გამართეს.

ირაკლი ღარიბაშვილმა ევროპარლამენტის საპატიო სტუმართა წიგნში სამახსოვრო ჩანაწერი გააკეთა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ევროპარლამენტის პრეზიდენტს ევროპარლამენტის მხრიდან ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანების პროცესში უწყვეტი მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

# საქართველოში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა შემცირდა



წინასწარი მონაცემებით, 2022 წლის პირველი კვარტალის ბოლოსათვის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით 0.1 პროცენტით შემცირდა და 1 მილიონი სული შეადგინა.

ამის შესახებ ინფორმაციას სტატისტიკის ეროვნული სამსახური ავრცელებს.

მისივე ცნობით, მათ შორის, ფურისა და ფურკამეჩის ჯამური რაოდენობა 468.5 ათასი სულით განისაზღვრა, რაც წინა წლის შესაბამისი მაჩვენებლის ტოლია. ცხვრისა და თხის ჯამური რაოდენობა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 5.6 პროცენტით შემცირდა და 987 ათასი სული შეადგინა. ღორის რაოდენობა 170.2 ათასი სულით განისაზღვრა, რაც 2.6 პროცენტით ნაკლებია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე.

ფრინველის რაოდენობა კი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 9.2 პროცენტით შემცირდა და 10.3 მილიონი ფრთა შეადგინა.

საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2022 წლის პირველ კვარტალში რძის წარმოებამ 112.2 მილიონი ლიტრი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 2.7 პროცენტით ნაკლებია. ხორცის წარმოებამ 16.7 ათასი ტონა შეადგინა, რაც 2021 წლის შესაბამის პერიოდის მაჩვენებელზე 5.7 პროცენტით მეტია. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში წარმოებულია 165.5 მილიონი კვერცხი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 3.4 პროცენტით ჩამორჩება.

# რატომ მიესაჯა ნიკა გვარამიას 3 წელი და 6 თვე

## სასამართლო განცხადებას ავრცელებს



თბილისის საქალაქო სასამართლო ე.წ. „რუსთავი 2“-ის საქმეზე განაჩენის გამოცხადებასთან დაკავშირებით ინფორმაციას ავრცელებს.

სასამართლოს ცნობით, შეფასდა თითოეული ბრალდებულის როლი და მონაწილეობის ხარისხი დანაშაულებრივ სქემაში და აღნიშნულის საფუძველზე კახაბერ დამენიას განუსაზღვრა ჯარიმა 50.000 ლარის ოდენობით, ხოლო ნიკა გვარამიას საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, იმის გათვალისწინებით რომ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადასტურდა მის მიერ ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ორ ეპიზოდში დანაშაულის ჩადენის ფაქტი, სასჯელის სახედ და ზომად შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით.

„2022 წლის 16 მაისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა სისხლის სამართლის საქმის არსებითად განხილვა ბრალდებულების: ნ.გ.-ს, კ.დ.-სა და ზ.ი.-ს მიმართ. სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებათა ერთობლიობით სასამართლომ ზ.ი.-ის მიმართ სრულად გამამართლებელი განაჩენი, ხოლო ნ.გ.-ის მიმართ ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი დაადგინა, ასევე, ნ.გ.-ის და კ.დ.-ის მიმართ შეცვალა არსებული კვალიფიკაცია და ქმედება დააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 220-ე მუხლით (უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება).

საქმის მასალების მიხედვით, ნ.გ.-ს ბრალად ედებოდა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით „რუსთავი 2“-ის კუთვნილი ქონებრივი უფლების გაფლანგვა, კომერციული მოსყიდვა, ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, კ.დ.-ს ბრალად ედებოდა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით მართლზომიერ გამგებლობაში არსებული ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგოდ გაფლანგვა, ხოლო ზ.ი.-ს ბრალად ედებოდა კომერციული მოსყიდვა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება.

საქმის მასალების თანახმად, 2014-2019 წლებში ნ.გ. იყო შპს „სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი, რომელსაც საწარმოს წესდების თანახმად, ეკისრებოდა ვალდებულება კეთილსინდისიერად, საზოგადოების და პარტნიორების ბიზნესინტერესების სასარგებლოდ ემოქმედა, თუმცა, მიუხედავად აღნიშნული ვალდებულებისა ნ.გ.-მ 2015 წელს კომპანიის სახელით ხელშეკრულება გააფორმა შპს „ინტერ მედია პლიუსთან“ და დაუთმო საკუთარი არხების ეთერში კომერციული რეკლამის განთავსების უფლება. იმავე წელს, მარტის თვეში, ფინანსების გაკონტროლების მიზნით ნ.გ.-მ ხსენებული კომპანიის 30%-იანი წილი მეგობრის სახელზე გააფორმა და შემდეგ ტელეკომპანიის სარეკლამო დროის გასხვისებისას მიღებული მთლიანი შემოსავლის 90-95%-ს ითხოვდა შპს „ინტერ მედია პლიუსისგან“, დარჩენილ თანხას კი მომსახურების გაწევის სანაცვლოდ ტოვებდა.

ნ.გ.-მ და საწარმოს ფინანსურმა დირექტორმა კ.დ.-მ შპს „სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ინტერესების უგულებელყოფით, წინასწარი შეთანხმებით განიზრახეს „ინტერ მედია პლიუსის“ სასარგებლოდ, გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე არსებული ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო გაფლანგა. ნ.გ.-მ და კ.დ.-მ საერთო ჯამში 2014 წელს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში მიღებულ თანხებთან შედარებით, (სულ 43.230.509 ლარი) შპს „სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ზე კომერციული რეკლამის განთავსების უფლების დათმობის სანაცვლოდ მოითხოვეს 36.467.000 ლარის ანაზღაურება, რითაც გაფლანგეს „ინტერ მედია პლიუსისგან“ 6.763.509 ლარის მოთხოვნის უფლება.

საქმის არსებითად განხილვისას სასამართლოზე გამოკვლეული მტკიცებულებების ერთობლივი შეფასებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით, საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულებები, რაც ნ.გ.-სა და ზ.ი.-ს კომერციული მოსყიდვის, ფულის გათეთრებისა და ყალბი დოკუმენტის დამზადების ნაწილში პირის დამნაშავედ ცნობისათვის საკმარისი იქნებოდა. რაც შეეხება ქმედების გადაკვალიფიცირებას, სასამართლომ ჩათვალა, რომ სახეზე იყო ბრალდებულთა მიერ საწარმოში ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სპეციალური უფლებამოსილების გამოყენება, ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ, თავისთვის, ან სხვისთვის გამორჩენის, ან უპირატესობის მიღების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. სასამართლომ, ასევე შეაფასა თითოეული ბრალდებულის როლი და მონაწილეობის ხარისხი დანაშაულებრივ სქემაში და აღნიშნულის საფუძველზე კ.დ.-ს განუსაზღვრა ჯარიმა 50.000 ლარის ოდენობით, ხოლო ნ.გ.-ს, საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, იმის გათვალისწინებით, რომ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადასტურდა მის მიერ ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ორ ეპიზოდში დანაშაულის ჩადენის ფაქტი, სასჯელის სახედ და ზომად შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით“, – ნათქვამია სასამართლოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.



# აშშ-ის საელჩომ გვარამიას დაჭერის გამო საქართველო მკაცრად გააკრიტიკა

სასამართლო გადაწყვეტილება გვარამიას, იაშვილისა და დამენიას საქმეებზე ეჭვქვეშ აყენებს საქართველოს ერთგულებას კანონის უზენაესობისადმი, – ამის შესახებ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს განცხადებაშია ნათქვამი.

განცხადების თანახმად, „თავიდანვე ამ საქმემ წარმოშვა კითხვები დროის გარემოებასა და ბრალდებებთან დაკავშირებით“.

როგორც საელჩო განცხადებაში აღნიშნავს, ამ დროს, როდესაც საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გაღრმავების უპრეცედენტო შესაძლებლობა აქვს, სისხლისსამართლებრივი დევნის პოლიტიზებულად აღქმაც კი ზიანის მომტანია.

„დღევანდელი სასამართლო გადაწყვეტილება გვარამიას, იაშვილისა და დამენიას საქმეებზე ეჭვქვეშ აყენებს საქართველოს ერთგულებას კანონის უზენაესობისადმი და უფრო მეტად წარმოაჩენს საქართველოში დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი სასამართლო სისტემის არსებობის ფუნდამენტურ მნიშვნელობას.

თავიდანვე ამ საქმემ წარმოშვა კითხვები დროის გარემოებასა და ბრალდებებთან დაკავშირებით. შერჩევითი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის შემაშფოთებელი პრაქტიკა, მიმართული ამჟამინდელი მთავრობის ოპოზიციაში მყოფი პირების მიმართ, ძირს უთხრის საზოგადოების ნდობას პოლიციის, პროკურატურის, სასამართლოებისა და თვით მთავრობის მიმართ.

განსაკუთრებით ამ დროს, როდესაც საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გაღრმავების უპრეცედენტო შესაძლებლობა აქვს, სისხლის სამართლებრივი დევნის პოლიტიზებულად აღქმაც კი ზიანის მომტანია. აშშ-ის მტკიცე პოზიციაა, რომ ჯანსაღი დემოკრატია სასამართლო დამოუკიდებლობის უზრუნველყოფასა და მედიის თავისუფლების დაცვაზეა დამოკიდებული. სწორედ ამიტომ, მუდმივად მოვუწოდებდით მთავრობას არსებითი რეფორმების განხორციელებისკენ ამ ფუნდამენტური დემოკრატიული პრინციპების დასაცავად“, – ნათქვამია 16 მაისს გამოქვეყნებულ განცხადებაში.

# „ახლა ცხვირის ჩამოშვების კი არა, ბრძოლის დროა“



საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი „მთავარი არხის“ დამფუძნებლის ნიკა გვარამიას დაკავებას ეხმაურება.

მისივე თქმით, ქართველი ხალხი აუცილებლად გაითავისუფლებს თავს და გაათავისუფლებს ნიკასაც.

„ნიკა გვარამია თავისუფლებისთვის ბრძოლის, შეუპოვრობის, მოუსყიდველობისა და გამბედაობის სიმბოლოა. მისი „განაჩენი“ სინამდვილეში საქართველოში ხელისუფლების მიმტაცებლების მიერ საკუთარი თავისთვის გამოტანილი განაჩენია. ეს რეჟიმის ლპობის ბოლო სტადიაა.

ქართველი ხალხი აუცილებლად გაითავისუფლებს თავს და გაათავისუფლებს ნიკასაც. საქართველო იქნება თავისუფალი და წარმატებული ევროპული ქვეყანა.

ახლა, როგორც არასდროს, ყველა უნდა გაერთიანდეს და ჩვენი წვრილმანი განსხვავება გავწიოთ გვერდით. გამარჯვების ერთადერთი რეცეპტი არის ერთობა. ახლა ცხვირის ჩამოშვების დრო კი არა, ბრძოლის დროა“, – წერს მიხეილ სააკაშვილი.

# ქიბარ ხალვაში ნიკა გვარამიასგან 6,7 მილიონ ლარს ითხოვს

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მფლობელი ქიბარ ხალვაში თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენს ეხმაურება, რომლითაც „მთავარი არხის“ გენერალურ დირექტორს, ნიკა გვარამიას, 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, კახა დამენიას კი – 50.000-ლარიანი ჯარიმა.

„დღევანდელი გადაწყვეტილებით დადასტურდა მარტივი სამართლებრივი ჭეშმარიტება, რომ კომპანია „ინტერმედიასთან“ გარიგების დადების გზით „რუსთავი 2“-ის ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა, ნიკა გვარამიამ, ტელეკომპანიის მაშინდელი არაკანონიერი მფლობელების თანხმობით „რუსთავი 2“-ს განზრახ 6,7 მილიონი ლარის ოდენობის ფინანსური ზიანი მიაყენა.

აღნიშნული ზიანი ახლაც მძიმე ტვირთად აწევს „რუსთავი 2“-ს, რომელიც ქართული და სტრასბურის სასამართლოების გადაწყვეტილებებით, 2019 წელს კანონიერ მფლობელს დაუბრუნდა. „რუსთავი 2“-ისთვის ზიანის მიყენების მოტივი გახლდათ ის გარემოება, რომ ტელეკომპანიის მაშინდელი არაკანონიერი მფლობელებისა და გენერალური დირექტორის საფუძვლიანი ვარაუდით, „რუსთავი 2“ კანონიერ მფლობელს უსათუოდ დამიბრუნდებოდა.



მათ თავად იცოდნენ, რომ ტელეკომპანიის შენარჩუნების არავითარი სამართლებრივი საფუძველი არ ჰქონდათ, რაც საბოლოოდ სტრასბურის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომაც დაადასტურა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ ტელეკომპანიისთვის ზიანის მიყენება გაგრძელდა მას შემდეგაც, რაც სტრასბურის სასამართლომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების აღსრულება დროებით შეაჩერა. ეს ნიშნავს, რომ ნიკა გვარამიამ ბოროტად ისარგებლა სტრასბურის სასამართლოს მიერ შეფარდებული დროებითი ზომით, მისი გამოყენებით ტელეკომპანიას დამატებით რამდენიმე მილიონი ლარის ოდენობის ზიანი მიაყენა, რაც სტრასბურის სასამართლოს მიმართ უდიერი დამოკიდებულების მკაფიო გამოვლინებაა. მოვუწოდებ დამნაშავეებს, სრულად აანაზღაურონ ტელეკომპანიისთვის მიყენებული მრავალმილიონიანი ზიანი. ამ მიზნით, სისხლის სამართლის განაჩენის საფუძველზე, დაუყოვნებლივ წარვადგენ სამოქალაქო სარჩელს სასამართლოში“, – ნათქვამია 16 მაისს გამოქვეყნებულ ხალვაშის განცხადებაში.

# სააკაშვილის სასამართლო პროცესი გადაიდო

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო კვეთაში ბრალდებული მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესი გადაიდო.

მორიგი სხდომა 25 მაისს, 14:00 საათზე გაიმართება.

პროცესის გადადების მიზეზი სააკაშვილის მიერ გამოგზავნილი წერილი გახდა, რომლის მიხედვითაც, ის მისი დასწრების გარეშე სასამართლო სხდომის გაგრძელებაზე უარს აცხადებდა.

მოსამართლეს 17 მაისის პროცესზე დაცვის მხარის შუამდგომლობაზე, რომლის მიხედვითაც ისინი სააკაშვილთან ექსპერტების შეშვებას ითხოვენ, პასუხი უნდა გაეცა.

მოსამართლის განმარტებით, პენიტენციარული სამსახურიდან გამოგზავნილი წერილი მას ჯერ არ მიუღია.

შეგახსენებთ, რომ მიხეილ სააკაშვილის მიერ საზღვრის უკანონო კვეთის ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება პირველ ოქტომბერს დაიწყო. აღნიშნული საქმის ფარგლებში ბრალდება კიდევ 4 პირს – ელგუჯა ცომაიას, ზურაბ და შალვა წოწორიებსა და გიორგი ნარიმანიძეს აქვთ წაყენებული და ის ცალკე წარმოებად მიმდინარეობს.

აღნიშნული პირები ბრალს აღიარებენ.

# შაქარაშვილის საქმეზე ორი არასრულწლოვანი სასამართლოში ხელახლა დაიკითხება

გიორგი შაქარაშვილის მიმართ განხორციელებულ ჯგუფურ ძალადობასა და მასში მონაწილეობაში მსჯავრდებული არასრულწლოვნებიდან ორი – გიორგი მერებაშვილი და ლაშა შერმადინი – თბილისის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა დაიკითხება.

აღნიშნული გადაწყვეტილებით სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეთა პალატამ დაცვის მხარის შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

შაქარაშვილის მკვლელობაში მსჯავრდებულების ადვოკატების განცხადებით, მერებაშვილმა და შერმადინმა შაქარაშვილის მიმართ განხორციელებულ ძალადობაში მონაწილეობა აღიარეს.

სწორედ აღნიშნული ჩვენებიდან და საქმეში არსებული ახალი გარემოებიდან გამომდინარე, გიორგი შაქარაშვილის მკვლელობაში მსჯავრდებული პირების ადვოკატებმა პენიტენციარულ დაწესებულებაში გამოკითხეს გიორგი მერებაშვილი და ლაშა შერმადინი, რის შემდეგაც თბილისის სააპელაციო სასამართლოში მათი მოწმის სახით დაკითხვის შუამდგომლობა დააყენეს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სასამართლო სათათბიროდ იყო გასული, გადაწყვეტილება კი 16 მაისს გამოცხადდა.

ცნობისთვის, ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის განზრახ ჯგუფურად მკვლელობაზე მსჯავრდებულები არიან არჩილ გაგნიძე, ნიკოლოზ რევაზიშვილი, ვახტანგ ჩიქოვანი, ზ.ხ. და ა.ქ.

# მძღოლი ხაშურში ავარიით დაღუპული 13 წლის ნიკა ბანცაძის ახლობელი აღმოჩნდა



14 მაისს ხაშურში ავტოსაგზაო შემთხვევას 13 წლის მოზარდი ემსხვერპლა. რუსთაველის ქუჩაზე ველოსიპედით მოძრავ 13 წლის ნიკა ბანცაძეს ავტომობილი დაეჯახა, რომელსაც 18 წლის ადგილობრივი მართავდა.

ავარიის შედეგად დაშავებული ბავშვი საავადმყოფოში დაიღუპა. მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

ამ საზარელ შემთხვევას გარდაცვლილი ბავშვის მეგობრის დედა თეო საკანდელიძე ეხმაურება.

„ჩემს ბიჭს გეძახდი და ასე იქნება მარადჟამს!...

არ არსებობს სიტყვები, რითაც შენს გაუბედურებულ დედას ვანუგეშებ...

ფრთა მოსტეხე ჩემს გენადიკოს, დადის და თვალებით გეძებს სულ...

ეს ის ტკივილია, რომელიც არ განელდება, ჩემო სიმპათიურო ბიჭო!“ – წერს თეო საკანდელიძე...

მომხდარზე თვითმხილველის ჩვენების საფუძველზე 18 წლის მძღოლი დააკავეს, რომელიც, გარდაცვლილის ნათლიის ინფორმაციით, ოჯახის ახლობელია.

– მანქანის მძღოლი დაკავებულია. 18 წლის ახალგაზრდაა. როგორც ვიცი, ის ოჯახის ახლობელია. პირადად მე მას არ ვიცნობ, – ამბობს ფიქრია მიქელაშვილი.

# უბედური შემთხვევა რუსთავი-თბილისის მაგისტრალზე

რუსთავი-თბილისის დამაკავშირებელ მაგისტრალზე, ე.წ. გაჩიანის ხიდთან, უბედური შემთხვევა მოხდა.

საინფორმაციო სააგენტო „ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, ავტომობილში მყოფი 60 წლამდე მამაკაცი ცუდად გახდა. ადგილზე გამოიძახეს სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ეკიპაჟი, კაცს პირველადი დახმარება გაუწიეს, თუმცა მისი გადარჩენა ველარ შეძლეს.

ადგილზე მედიკოსებთან ერთად მობილიზებული იყო სამართალდამცავთა ეკიპაჟები.

# შვედეთმა ნატოში შესვლა გადაწყვიტა




შვედეთმა ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით ოფიციალური გადაწყვეტილება მიიღო.

– ნატოს ინფორმირებას მოვახდენთ, რომ ალიანსის წევრობა გვსურს. შვედეთს სჭირდება უსაფრთხოების ფორმალური გარანტიები, რომელიც ნატოში გაწევრიანებას ახლავს, – განაცხადა შვედეთის პრემიერ-მინისტრმა მაგდალენა ანდერსონმა.

პარლამენტარებისადმი მიმართვაში ქვეყნის მთავრობის მეთაურმა აღნიშნულ გადაწყვეტილებას ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკაში ისტორიული ცვლილება უწოდა.

ანდერსონმა დასძინა, რომ შვედეთი მოქმედებდა ფინეთთან ერთად, რომლის მთავრობამ კვირას გამოაცხადა, რომ ალიანსში გაწევრიანებას შეეცდება.

# მარიუპოლის მერი მოსახლეობას მოუწოდებს, ქალაქში არ დაბრუნდნენ



მარიუპოლის მერი ვადიმ ბოიჩენკო მოსახლეობას მოუწოდებს, არ დაბრუნდნენ ქალაქში და არ დაიჯერონ ოკუპანტების დაპირებები დანგრეული საცხოვრებლის კომპენსაციის შესახებ.

– უნდა გვესმოდეს, რომ დაბრუნებაზე შეზღუდვა არ არის, მაგრამ, ისიც უნდა გვესმოდეს, რომ შეგიძლია შეხვიდე, მაგრამ გამოსვლა ძალიან რთულია. მერე მოგიწევს ამ წამების, ფილტრაციის ცენტრების გავლა, მოწმობების აღება. ყველას, ვინც მარიუპოლში მოხვდება, არ ექნება შესაძლებლობა, დატოვოს მარიუპოლი. ეს გასაგები უნდა იყოს, – განაცხადა ბოიჩენკომ.

მისი თქმით, რუსი ოკუპანტები მოსახლეობას დანგრეული საცხოვრებლის კომპენსირების ცრუ დაპირებას აძლევენ.

– ეს დაპირებები სისულელე და სიცრუეა, რადგან ქალაქი თითქმის დანგრეულია – საცხოვრებელი სექტორის 90% დაზიანებულია, 50% რუსებმა ფერფლად აქციეს, – განაცხადა მერმა.

მისი თქმით, კომპენსაციის ოდენობა მილიარდ დოლარს შეადგენს, ოკუპანტების დაპირებები კი მხოლოდ პროპაგანდაა, რომელსაც ისინი ქალაქში ხალხის მისაზიდად ავრცელებენ.

– შემდეგ, როგორც ჩვეულებრივი ტერორისტული ორგანიზაცია, ისინი ივაჭრებენ საევაკუაციო მისიებთან დაკავშირებით. ეს არის ხაფანგი და ეს უნდა გესმოდეთ, – აღნიშნა ბოიჩენკომ.

# ერევანში საპროტესტო აქციის 155 მონაწილე დააკავეს



სომხეთის დედაქალაქ ერევანში სამართალდამცავებმა 17 მაისს, დილით, საპროტესტო აქციის 155 მონაწილე დააკავეს.

– ამ დროისთვის პოლიციის განყოფილებაში 155 ადამიანია გადაყვანილი, – განაცხადა წყარომ.

მანამდე სომხეთის პარლამენტის ვიცესპიკერმა ოპოზიციური ფრაქცია „სომხეთიდან“ იშხან საღათელიანმა განაცხადა, რომ დაუმორჩილებლობის ფართომასშტაბიანი აქციები 17 მაისს განახლდებოდა.

– დაიკეტება გზები, შეჩერდება მოძრაობა, დედაქალაქი პარალიზებული იქნება, – აღნიშნა საღათელიანმა.

მისი თქმით, „საფრანგეთის მოედანზე“ მორიგი საპროტესტო აქცია გაიმართება.

შეგახსენებთ, ერევანში საპროტესტო აქციები პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანისა და მისი გუნდის გადადგომის მოთხოვნით 25 აპრილიდან იმართება.

# „თალიბანმა“ ავღანეთის ადამიანის უფლებათა კომისია გააუქმა

ავღანეთში „თალიბანის“ ხელისუფლებამ ყოფილი მთავრობის ხუთი საკვანძო დეპარტამენტი, მათ შორის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია გააუქმა.

მედიის ინფორმაციით, „თალიბები“ აცხადებენ, რომ არსებული ფინანსური კრიზისის პირობებში აღნიშნული დეპარტამენტების დაფინანსებას საჭიროდ არ მიიჩნევენ.

– ეს დეპარტამენტები არ იქნა მიჩნეული საჭიროდ და არ იყო გათვალისწინებული ბიუჯეტში, რის გამოც ისინი დაიშალა, – თქვა „თალიბანის“ მთავრობის პრესსპიკერის მოადგილე ინნამულა სამანგანმა.

„თალიბების“ მიერ გაუქმებულ უწყებებს შორის არიან ეროვნული შერიგების უმაღლესი საბჭო და ავღანეთის კონსტიტუციის შესრულების ზედამხედველობის კომისიაც.

2021 წლის აგვისტოში საერთაშორისო ძალებმა ავღანეთი დატოვეს, რასაც ავღანეთის მთავრობის კოლაფსი და „თალიბების“ მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდება მოჰყვა.

# ბარსელონასთან ერთმანეთს 2 მატარებელი შეეჯახა

ესპანეთში, ბარსელონასთან ახლოს, სამგზავრო და სატვირთო მატარებლები ერთმანეთს შეეჯახნენ, რის შედეგადაც სამგზავრო მატარებლის მძღოლი დაიღუპა.

დაშავებულია 85 ადამიანი. აქედან საჭირო გახდა 8-ის ჰოსპიტალიზაცია, დანარჩენებს კი დახმარება ადგილზე გაუწიეს.

ინციდენტი სანტ ბოი დე ლობრეგატის სადგურზე, ბარსელონიდან დაახლოებით 14 კმ-ში მოხდა, სადაც სატვირთო მატარებელი რელსებიდან გადავიდა და სამგზავრო მატარებელს შეეჯახა.

მომხდარს ესპანეთის პრემიერ-მინისტრი პედრო სანჩესი გამოეხმაურა და გარდაცვლილი მძღოლის ოჯახს მიუსამძიმრა.



# რუსმა ოკუპანტებმა ხერსონში 83 წლის ქალი გააუპატიურეს

ხერსონის ოლქის ჩრდილოეთის დაკავების შემდეგ რუსი ოკუპანტები საშინლად იქცეოდნენ.
ამის შესახებ ადგილობრივი მოსახლეობა საუბრობს.
მათი ინფორმაციით, ოკუპანტებმა 83 წლის ქალი და ერთი ფეხმძიმე ქალი გააუპატიურეს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# მუზეუმების საერთაშორისო დღეს ხელოვნების სასახლეში საიდუმლო ოთახი გაიხსნება

18 მაისს მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ხელოვნების სასახლეში მისული დამთვალიერებლისთვის სხვადასხვა ღონისძიება გაიმართება.

ხელოვნების სასახლის ახალი საექსპოზიციო დარბაზები გაიხსნება დამთვალიერებლისათვის და დაშვება იქნება უფასო.

ვიზიტორებს საშუალება ექნებათ, იხილონ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით სამშობლოში დაბრუნებული იმ დასავლეთევროპული მხატვრობის ნიმუშები, რომლებიც ორ განახლებულ საექსპოზიციო დარბაზში გამოიფინა.

ასევე, გაიხსნება ქართული სამოსის დარბაზი, რომელშიც რეექსპოზიციის შედეგად წარმოდგენილია ქართული სამკაულის ვერცხლის ნაკეთობათა და იარაღის ახალი კოლექციები.

დამთვალიერებლისათვის საუკუნოვანი პაუზის შემდეგ იხსნება საიდუმლო ოთახი. ასევე, მუზეუმის მეორე სართულზე იხილავთ სრულიად განახლებულ მუდმივმოქმედ ექსპოზიციებს.

ვიზიტორებს შესაძლებლობა ექნებათ, დრამერების შოუსთან ერთად იხილონ ანსამბლ „ერისიონთან“ არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდია „ლაპრების“, „მანგისა“ და ანსამბლ „ქართული რიტმების“ წარმოდგენა, ასევე დაესწრონ ხელოვნების სასახლის ახალი სამუზეუმო შენობის პრეზენტაციას.

ღონისძიება გრანდიოზული ფეიერვერკით გაგრძელდება და ხელოვნების სასახლეში მისული დამთვალიერებელი უნიკალური ექსპოზიციების გაცნობით ჯადოსნურ სამყაროში იმოგზაურებს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## განცხადებები

● 45-წლიანი გამოცდილებით გთავაზობთ პარაფსიქოლოგის მომსახურებას – გაუმართლებლობა, ქალის ბედის გახსნა, მტრის ჩამოშორება, შებოჭილობა, დეპრესია, კოშმარული სიზმრები, პიროვნებებს შორის აგრესიები, მოღალატე ქმრის მორჯულება, ეჭვიანობა, თვითმკვლელობის სურვილი, პათოლოგიური სიმთვრალე და კიდევ მრავალი პრობლემის მოგვარება, შესაძლებელია პაციენტის გარეშეც. ფოტოსურათი აუცილებელია. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება წინასწარი ჩაწერით.

# უცნობმა პირმა თავი ღვთისმსახურად გაასაღა და ელისაბედ II-ის დაცვის ყაზარმაში შეაღწია

დიდ ბრიტანეთში უცნობი პირის მონაწილეობით მომხდარი ინციდენტის გამოძიება დაიწყო, რომელმაც თავი ღვთისმსახურად გაასაღა და დიდი ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედ II-ის დაცვის ყაზარმაში შეაღწია.

აღნიშნული ინციდენტი მიმდინარე წლის 26 აპრილს მოხდა. ღვთისმსახურის ფორმაში გამოწყობილი უცნობი მამაკაცი კოლდერიმის გვარდიის ყაზარმის შესასვლელთან მივიდა, რომელიც უინძორის ციხე-სიმაგრის მახლობლად მდებარეობს და განაცხადა, რომ მას შეხვედრა ჰქონდა დანიშნული ადგილობრივ კაპელანთან.

ჯარისკაცების თქმით, უცნობი მამაკაცი ამერიკული აქცენტით ლაპარაკობდა, ხოლო მის მიერ მოყოლილმა ისტორიამ მის მიმართ ეჭვები გააჩინა. ამის მიუხედავად, მამაკაცი სადილად და იქ ღამის გასათევად მიიწვიეს. 27 აპრილის დილით კი ის ბაზის ტერიტორიიდან ადგილობრივი პოლიციიდან შემოსული ინფორმაციის შემდეგ გამოაძევეს.

როგორც უინძორში პაბის „პრინც ჰარის“ მფლობელმა მოგვიანებით განაცხადა, იგივე უცნობი პიროვნება 25 აპრილს შეეცადა უფასოდ ესადილა, ამისთვის კი თავი პრინც ჰარის მეგობრად გაასაღა, მაგრამ უარი მიიღო. რესტორან Maison Meejana-ს მმართველმა ჯორჯ გენემ განაცხადა, რომ უცნობი პიროვნება ორჯერ იმყოფებოდა მის დაწესებულებაში სადილისთვის და ამტკიცებდა, რომ მეზობლად მდებარე ეკლესიაში მსახურობდა. გენემის მტკიცებით, მას ეს ადამიანი ადრე არასოდეს შეხვედრია.

უცნობი პიროვნების ვინაობა ამ დრომდე დაუდგენელია. აღნიშნულმა ინციდენტმა დიდი შეშფოთება გამოიწვია უინძორში უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

# მამაკაცი ძაღლის გადარჩენის მცდელობას ემსხვერპლა



ბრიტანელი ყოფილი სამხედრო მეზღვაური ესპანეთში თავისი ძაღლის მდინარეში დახრჩობისგან გადარჩენას შეეცადა და თავად დაიღუპა.

24 წლის პოლ ლებიჰანი ალგარის წყაროების ნაკრძალში მდინარე ბოლუზიში გადახტა, რომელიც ქალაქ ბენიდორმის მახლობლად მდებარეობს. მამაკაცი მდინარის დინებამ გაიტაცა, ხოლო როდესაც ის წყლიდან ამოიყვანეს, უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ბრიტანელი მეზღვაურის გადარჩენის ოპერაციაში მაშველების შვეულმფრენი, პოლიციელები და პარამედიკოსები მონაწილეობდნენ, სპეციალისტების ადგილზე მისვლამდე კი მის გადარჩენას თვითმხილველები ცდილობდნენ, თუმცა ამ ყოველივემ შედეგი ვერ გამოიღო. ექიმებს მხოლოდ მისი გარდაცვალების დადასტურება მოუხდათ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სპორტი

# პოგბა იუვენტუსს უნდა, კანტე — მანჩესტერს



ტურინის იუვენტუსმა მანჩესტერის ფრანგ ნახევარმცველ პოლ პოგბას სეზონში 7.5 მილიონი ევრო შესთავაზა. გარდა ამისა, კონტრაქტი 3-წლიანი იქნება.

პოგბა იუვენტუსის ღირსებას 2012-16 წლებში იცავდა. ამ დროში 178 მატჩი ითამაშა, გაიტანა 34 გოლი და 40-ჯერ თანაგუნდელებს გაატანინა.

მანჩესტერიდან პოგბას წასვლას ისიც დააჩქარებს, რომ იუნაიტედის ახალი მწვრთნელი ერიკ ტენ ჰაგი ლონდონის ჩელსის ნახევარმცველ ნგოლო კანტეთია დაინტერესებული. თანამემამულის მისვლა კი პოგბას საქმეს გაურთულებს.

საქმე ის არის, რომ „წითელი ეშმაკების“ ახალი მენეჯერი ნახევარდაცვის აწყობას გამოცდილი კანტეს ირგვლივ ხედავს.

მანჩესტერი, კანტეს გარდა, ბარსელონის შუახაზელ ფრენკი დე იონგსაც განიხილავს.

ამასობაში იუვენტუსის მთავარმა მწვრთნელმა მასიმილიანო ალეგრიმ პოგბას ტურინულ კლუბში შესაძლო გადასვლის შესახებ იხუმრა – პოგბა? ვინ არის პოგბა, ასეთს არ ვიცნობ. იქნებ ინგლისური სიტყვაა. ის დიდი ხნის წინ იყო იუვენტუსში, აღარც მახსოვს...

## შედეგები

**16 მაისი**

**ფეხბურთი**

### ინგლისი. პრემიერლიგა

ნიუკასლი-არსენალი ........................ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 37 | 28 | 6 | 3 | 96-24 | 90 |
| 2.ლივერპული | 36 | 26 | 8 | 2 | 89-24 | 86 |
| 3.ჩელსი | 36 | 20 | 10 | 6 | 73-31 | 70 |
| 4.ტოტენჰემი | 37 | 21 | 5 | 11 | 64-40 | 68 |
| 5.არსენალი | 36 | 21 | 3 | 12 | 56-45 | 66 |
| 6.მანჩესტერი | 37 | 16 | 10 | 11 | 57-56 | 58 |
| 7.ვესტ ჰემი | 37 | 16 | 8 | 13 | 59-48 | 56 |
| 8.ვულვზი | 37 | 15 | 6 | 16 | 37-40 | 51 |
| 9.ლესტერი | 36 | 13 | 9 | 14 | 57-57 | 48 |
| 10.ბრაიტონი | 37 | 11 | 15 | 11 | 39-43 | 48 |
| 11.ბრენტფორდი | 37 | 13 | 7 | 17 | 47-54 | 46 |
| 12.ნიუკასლი | 37 | 12 | 10 | 15 | 42-61 | 46 |
| 13.კრ.პალასი | 36 | 10 | 15 | 11 | 47-43 | 45 |
| 14.ასტონ ვილა | 36 | 13 | 5 | 18 | 49-50 | 44 |
| 15.საუთჰემპტონი | 36 | 9 | 13 | 14 | 41-61 | 40 |
| 16.ევერტონი | 36 | 10 | 6 | 20 | 39-59 | 36 |
| 17.ლიდსი | 37 | 8 | 11 | 18 | 40-78 | 35 |
| 18.ბარნლი | 36 | 7 | 13 | 16 | 32-50 | 34 |
| 19.უოტფორდი | 37 | 6 | 5 | 26 | 33-75 | 23 |
| 20.ნორვიჩი | 37 | 5 | 7 | 25 | 23-79 | 22 |

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

**ფლეი ოფი**

ჰადერსფილდი-ლუთონი ................. 1:0

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ოვიედო-სარაგოსა ......................... 3:3

### იტალია. სერია ა

სამპდორია-ფიორენტინა ................ 4:1

იუვენტუსი-ლაციო ......................... 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 37 | 25 | 8 | 4 | 66-31 | 83 |
| 2.ინტერი | 37 | 24 | 9 | 4 | 81-32 | 81 |
| 3.ნაპოლი | 37 | 23 | 7 | 7 | 71-31 | 76 |
| 4.იუვენტუსი | 37 | 20 | 10 | 7 | 57-35 | 70 |
| 5.ლაციო | 37 | 18 | 9 | 10 | 74-55 | 63 |
| 6.რომა | 37 | 17 | 9 | 11 | 56-43 | 60 |
| 7.ატალანტა | 37 | 16 | 11 | 10 | 65-47 | 59 |
| 8.ფიორენტინა | 37 | 18 | 5 | 14 | 57-51 | 59 |
| 9.ვერონა | 37 | 14 | 10 | 13 | 62-56 | 52 |
| 10.ტორინო | 37 | 13 | 11 | 13 | 46-38 | 50 |
| 11.სასუოლო | 37 | 13 | 11 | 13 | 64-63 | 50 |
| 12.უდინეზე | 37 | 10 | 14 | 13 | 57-58 | 44 |
| 13.ბოლონია | 37 | 11 | 10 | 16 | 43-55 | 43 |
| 14.ემპოლი | 37 | 9 | 11 | 17 | 49-70 | 38 |
| 15.სამპდორია | 37 | 10 | 6 | 21 | 46-60 | 36 |
| 16.სპეცია | 37 | 10 | 6 | 21 | 41-68 | 36 |
| 17.სალერნიტანა | 37 | 7 | 10 | 20 | 33-74 | 31 |
| 18.კალიარი | 37 | 6 | 11 | 20 | 34-68 | 29 |
| 19.ჯენოა | 37 | 4 | 16 | 17 | 27-59 | 28 |
| 20.ვენეცია | 37 | 6 | 8 | 23 | 34-69 | 26 |

### თურქეთი. სუპერლიგა

გალათასარაი-ადანა ........................ 3:2

რიზე-სივასი ....................................... 1:2

### დანია. სუპერლიგა

სილკებორგი-მიდტიულანდი ........... 1:4

### შვედეთი. ალსვენსკა

დიურგარდენი-მალმიო .................. 4:0

### ნორვეგია. ელიტსერია

ბოდო-ტრომსო ................................ 1:1

ვიკინგი-ერვი ................................. 3:0

კრისტიანსუნდი-სტრომგოდსეტი ... 0:3

ლილესტრიომი-სარპსბორგი .......... 1:0

ოდი-ჰაუგესუნდი ........................... 0:4

ალესუნდი-მიოლდე ....................... 0:2

რუსენბორგი-სანდერფიორდი ........ 3:0

ვალერენგა-ჰამ კამი ....................... 1:1

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ბულგარეთის ნაკრებმა შემადგენლობა დაასახელა

ორიოდე კვირაც და ერთა ლიგის ახალი სეზონი დაიწყება. ც დივიზიონის ჯგუფში საქართველოს ეროვნული გუნდის მეტოქეები ბულგარეთის, ჩრდილოეთ მაკედონიისა და გიბრალტარის ნაკრებები იქნებიან.

2 ივნისიდან 12 ივნისამდე გუნდები 4-4 მატჩს ითამაშებენ. პირველი მზადებას ბულგარელები შეუდგნენ და ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იასენ პეტროვმა ის ფეხბურთელები დაასახელა, რომლებსაც ივნისში დაეყრდნობა.

**მეკარეები:**ნიკოლაი მიხაილოვი (ლევსკი), სვეტოსლავ ვუცოვი (სლავია), ივან დიულგეროვი (ჩერნო მორე);

**მცველები:** ანტონ ნედიალკოვი (ლუდოგორეცი), ანდრეა ხრისტოვი (კოზენცა, იტალია), პეტკო ხრისტოვი (სპეცია, იტალია), ივან ტურიცოვი (ცსკა), ბოჟიდარ ჩორბაჟისკი (სტალი, პოლონეთი), ედისონ იორდანოვი (ვესტერლო, ბელგია), ვიქტორ პოპოვი (ჩერნო მორე), პლამენ გალაბოვი (მაკაბი ნეთანია, ისრაელი);

**ნახევარმცველები:** გეორგი მილანოვი, ფილიპ კრასტევი, ადრიან კრაევი (ყველა ლევსკი), ტოდორ ნედელევი (ბოტევი), გიორგი კოსტადინოვი (არსენალი, რუსეთი), ივაილო ჩოჩევი (ცსკა), კრისტიან მალინოვი (ლეუვენი, ბელგია), დომინიკ იანკოვი (ლუდოგორეცი);



**თავდამსხმელები:**კირილ დესპოტოვი (ლუდოგორეცი), ათანას ილიევი (ასკოლი, იტალია), გეორგი იომოვი (ცსკა), რადოსლავ კირილოვი (სლავია), გეორგი მინჩევი (რიგა), მარტინ მინჩევი (სპარტა, ჩეხეთი).

2 ივნისს ბულგარელები ჩრდილოეთ მაკედონიას ესტუმრებიან, 5-ში ჩვენს ნაკრებს უმასპინძლებენ, 9-ში გიბრალტარში ჩავლენ, ხოლო 12-ში თბილისში გვეთამაშებიან.

# თსუ-მ სერიაში სხვაობა შეამცირა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა ნახევარფინალურ სერიაში ჩამორჩენა შეამცირა. ლექსო ლაფანაშვილის, ნუგზარ ჭეიშვილისა და დიმიტრი ჭელიძის გაწვრთნილმა გუნდმა საწყისი 2 მარცხის შემდეგ საკუთარი თამაში იპოვა და მეტოქე „ოლიმპს" ისე სძლია, შანსი არ მიუცია.

საბოლოოდ მატჩი თსუ-ს 21-ქულიანი გამარჯვებით – 75:54 (სტატისტიკა) დასრულდა. ასე მცირე ქულები ოლიმპელებს მიმდინარე სეზონში არ მიუთვლიათ, რაც უნივერსიტეტელთა დიდებულ დაცვით თამაშზე მიუთითებს. თსუ თავიდანვე მოტივირებული და მაქსიმალურად მობილიზებული გამოვიდა მოედანზე და სადებიუტო ლიდერობა პერიოდის ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა – 18:11.

მეორე ათწუთეულში ვითარება არ შეცვლილა, თუმცა ოლიმპის შეცდომებით თსუ იმდენად კარგად ვერ სარგებლობდა და დიდ შესვენებაზე მხოლოდ 9-ქულიანი ლიდერობით გავიდა – 40:31. მესამე პერიოდი გარდამტეხი გამოდგა. აღნიშნულ ათწუთეულში ოლიმპმა მხოლოდ 2 ქულა ჩააგდო თსუ-ს საპასუხო 14-ისა და ყველაფერი ნათელი შეიქნა: თსუ-ს 21-ქულიანი ლიდერობა ჰქონდა, რაც თამაშის მიმდინარეობის გათვალისწინებით გასამარჯვებლად საკმარის ჰანდიკაპს წარმოადგენდა და საბოლოოდ შეხვედრა ისე ჩამთავრდა, დავით როგავას გუნდს შანსი არ მისცემია.

თსუ-ს ლოველ ქაბილმა ულიდერა, რომელმაც 23 ქულა მიითვალა. 13 ქულა და 10 მოხსნა პაპ დიოპმა მიითვალა, ნიკოლოზ დარბაიძის ანგარიშზე კი 10 ქულა დაგროვდა. ოლიმპში 17 ქულა ჰქონდა იმორას ეიჯის, 13 ქულას დასჯერდა კახაბერ ჯინჭარაძე.

ნახევარფინალურ სერიაში ოლიმპელები 2:1 იგებენ და ფინალში გასასვლელად 1 მოგება აკლიათ, თსუ-ს კი ამის გასაკეთებლად მიჯრით 2 გამარჯვება სჭირდება.


## სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი" ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

**მადლიერ პაციენტთა რიცხვი ათასობითაა:**

**ლია თეთრაშვილი:** მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

**კლარა წიტაიშვილი:** კორონას შემდეგ დამეწყო საშინელი თმის ცვენა. ვცადე ძალიან ბევრი საშუალება, მაგრამ უშედეგოდ. ლამარა თოდუას წამლებმა თმის ცვენა ხომ შემიჩერა და თმა გაცილებით ხშირიც გამიხდა. ვისაც მსგავსი პრობლემა აქვს, ვურჩევ მიაკითხოს ქალბატონ ლამარას.

**თინა სორდია:** კორონამ დამიტოვა საშინელი ხველა და ქოშინი. ლამარა თოდუას წამლების მიღებიდან მესამე დღესვე შემისუსტდა ხველა, გულიც აღარ მელღება. 5-6 დღის შემდეგ ძილიც გამიუმჯობესდა.

**ლილი კიზირია:** 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იჟოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად".

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**


## სამგლოვიარო განცხადებები

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის 1456 ჯგუფის კურსდამთავრებულები მწუხარებით იუწყებიან ჯგუფელის, კობა ფირაშვილის, დედის

**ნათელა ფირაშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.


**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**


# თბილისური დერბი უგოლოდ დასრულდა

**დინამო (თბ) – საბურთალო 0:0**

**თბილისი. დინამო არენა**

**დინამო:** პრიეტო, მალი, ხვადაგიანი, ბენიო, კალანდაძე, ხარაბაძე, პაპავა (ლომინაძე 90), ბარნსი (გაბედავა 66), მოისწრაფიშვილი (ოსიყმაშვილი 79), კამარა (გვიშიანი 90), ბილენკი (კირკიტაძე 66)

**საბურთალო:** მეგრელიშვილი, უბილავა, ჯგერენაია, ჩადუნელი, ი.ტაბატაძე, ქარდავა, შ.ნონიკაშვილი, შინდაგორიძე (ქავთარაძე 74), ლ.ნონიკაშვილი (ო.მამაგეიშვილი 90), გულიაშვილი, სიხარულიძე



შეხვედრა ორივე გუნდმა აქტიურად დაიწყო და საწყის წუთებში სახიფათო მომენტებიც გაცვალეს. ორივე შემთხვევაში მეკარეებმა იყოჩაღეს. მატჩის 38-ე წუთზე დინამოელთა მორიგი შეტევა, საჯარიმოში საიმონ ბენიომ ყველას დაასწრო, თავურით ძლიერად დაარტყა, ბურთი კი ბოლო წამს დაუცველი კარიდან იური ტაბატაძემ გამოიტანა. შეიძლება ითქვას, რომ ტაიმმა მასპინძელთა სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობით ჩაიარა.

მეორე ნახევარი ასევე აქტიურად განახლდა. ჯერ გიორგი მოისწრაფიშვილის შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ არაზუსტად დაარტყა, საპასუხოდ კი ლაშა შინდაგორიძის ახლო მანძილიდან თავით ძლიერად დარტყმული ანდრეს პრიეტომ ნახტომში მოიგერია. მატჩის 70-ე წუთზე სტუმართა კარი გადარჩა. საჯარიმოს მისადგომებიდან გიორგი პაპავამ ძლიერად გაისროლა თუმცა ძელი... ტაიმის ბოლოსკენ ორივე კართან იყო სახიფათო მომენტები, თუმცა გოლი არ გასულა და შეხვედრა ფრედ 0:0 დამთავრდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 13 | 8 | 4 | 1 | 28-7 | 28 |
| 2.დინამო (თბ) | 14 | 7 | 5 | 2 | 22-11 | 26 |
| 3.სამგურალი | 13 | 6 | 5 | 2 | 17-9 | 23 |
| 4.საბურთალო | 14 | 6 | 5 | 3 | 19-13 | 23 |
| 5.დილა | 13 | 7 | 1 | 5 | 15-12 | 22 |
| 6.თელავი | 13 | 5 | 4 | 4 | 16-10 | 19 |
| 7.გაგრა | 13 | 5 | 2 | 6 | 17-21 | 17 |
| 8.ტორპედო | 13 | 4 | 2 | 7 | 11-20 | 14 |
| 9.სიონი | 13 | 2 | 4 | 7 | 14-28 | 10 |
| 10.ლოკომოტივი | 13 | 0 | 0 | 13 | 9-37 | 0 |

# ბასილაშვილი და გორგოძე იგებენ

ქართველი ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი ჟენევის საერთაშორისო ტურნირში ჩაება და პირველი წრე მარტივად გაიარა.

ჩვენებურის მეტოქე არგენტინელი ფაკუნდო ბანგისი იყო. ბასილაშვილმა პირველი სეტი 6:4 მოიგო, შემდეგ კი არგენტინელმა მატჩი შეწყვიტა.

ბასილაშვილი მეორე წრეში ესპანელ ანდუჰარსა და პორტუგალიელ სოუზას შორის გამარჯვებულს შეხვდება.

ჟენევის ტურნირის შემდეგ ქართველი ჩოგბურთელი როლან გაროსის ტურნირში ჩაებმება.

საფრანგეთის ღია პირველობა კი კვალიფიკანტებმა უკვე დაიწყეს და საქმეში მარიამ ბოლქვაძეც ჩაერთო. თუმცა ჩვენებურმა პირველივე მატჩი წააგო და ტურნირს დაემშვიდობა.

ქართველი ჩოგბურთელი ავსტრალიელ სეონ მენდეზს უგებდა, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და 6:3, 4:6, 2:6 დამარცხდა.



საკვალიფიკაციო ეტაპზე საქართველოს პირველი ჩოგანი ქალი ეკატერინე გორგოძეც ჩაერთო. პირველი ეტაპი იოლად დასძლია. ჩვენებურის მეტოქე ფრანგი ლუა ბოისონი იყო და ეკომ 6:2; 6:2 იმარჯვა.

პირველ სეტში ჩოგბურთელებმა 2-2 ჩაწოდება მოიგეს, შემდეგ გორგოძემ ზედიზედ 4 გეიმი მოიგო, აქედან 2 – მეტოქის.

მეორე სეტში კი გორგოძე თავიდანვე შეუდგა მეტოქის რბევას. ფრანგს პირველივე ჩაწოდება აართვა, შემდეგ 5:1 დაწინაურდა. შედეგად სეტისა და მატჩის გამარჯვება აღარ გასჭირვებია.

მეორე წრეში გორგოძის მეტოქე ისევ მასპინძელი იქნება. თუმცა, ეს ბაბელი იქნება თუ რამე, ამას ჩოგბურთელები ერთმანეთში გაარკვევენ.

# ლაპორტა ჩეფერინს შეხვდება



21 მაისს ბარსელონისა და უეფას პრეზიდენტებს ერთმანეთთან შეხვედრა უწევთ. ჟოან ლაპორტა შეეცდება, ეს შეხვედრა ალექსანდერ ჩეფერინთან ურთიერთობის გამოსასწორებლად გამოიყენოს. ინფორმაციას ესპანური მედია ავრცელებს.

მიმდინარე კვირის ბოლო ლაპორტასთვის დატვირთული იქნება. 19 მაისს ბელგრადში უნდა იყოს, სადაც საკალათბურთო ევროლიგის ოთხთა ფინალში ბარსელონა მადრიდის რეალს დაუპირისპირდება. მომდევნო დღეს ბარსელონის პრეზიდენტი ტურინში გადაფრინდება, სადაც ქალების ჩემპიონთა ლიგის ფინალში ბარსელონა ლიონს შეხვდება.

გავრცელებული ცნობით, იგეგმება, რომ ლაპორტასა და ჩეფერინს შორის პროტოკოლით გათვალისწინებული ვახშამი ბარსელონამ უეფასთან ურთიერთობის გამოსასწორებლად გამოიყენოს.

როგორც გახსოვთ, კატალონიურ კლუბს ევროპული ფეხბურთის მმართველ ორგანოსთან სიტუაცია მაშინ დაეძაბა, როდესაც სხვა ესპანურ, ინგლისურ და იტალიურ კლუბებთან ერთად სუპერლიგის დაარსება დააანონსა, მაგრამ ამ იდეამ დიდხანს ვერ გაძლო.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. თანავარსკვლავედის ძველი ქართული სახელწოდება; 2. ლაზური ორსართულიანი ხის სახლი; 3. სწრაფმავალი მოტორიანი ნავი; 4. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 5. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 6. სამშენებლო-მოსაპირკეთებელი მინერალური ქვა; 9. საქართველოს პრეზიდენტი; 10. საერთაშორისო ბაზარზე გატანილი პირველი ქართული სამარკო ღვინო; 11. იტალიური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 14. ქართული საქველმოქმედო, საინვესტიციო ორგანიზაცია; 16. პოპულარული მოლდოვურ-რუმინული სიმღერა, საცეკვაო მელოდია; 18. ქართული მითოლოგიის გმირი; 20. ნიჟარაში ბინადარი, უხერხემლო, რბილსხეულიანი ზღვის ცხოველი; 23. თეატრის მსახიობთა კოლექტივი; 24. ბუდისტთა მღვდელი; 25. გამარტივებული ნახაზი; 26. ბერძნული ყველი.

**თარაზულად:** 7. უანგარო ზრუნვა სხვისი კეთილდღეობისათვის; 8. ატმოსფეროს ზედა ნაწილი; 12. უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი; 13. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 15. მარცვლეულის, ფქვილის ვაჭარი ძველად; 17. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 19. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 21. ღვინის თიხის სასმისი; 22. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 27. დანიელი მეზღაპრე; 28. დედამიწის ქერქის მოძრაობისა და დეფორმაციის შემსწავლელი მეცნიერება.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. დეკადანსი; 2. კონიაკი; 3. ჩინეთი; 4. სალდო; 5. ანანდი; 11. სალამო; 12. ლაგაზი; 14. კოხი; 16. რანჩერო; 17. ოჯალეში; 19. რემისია; 21. ჩორთი; 22. ეზოპე.

**თარაზულად:** 6. ფელეტონი; 7. სტალინი; 8. დაშნა; 9. იდილია; 10. თრუსო; 13. ოსაკა; 15. ტრაფალგარი; 18. კობზარი; 20. ჯინი; 21. ჩიზელი; 23. კომპრომისი; 24. შუამთა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. აორტა; 2. კობზა; 3. წაღვერი; 4. ეტნა; 5. ბორა; 6. ფიურსტი; 9. ნიკორწმინდა; 10. სუპერმენი; 11. ანჩისხატი; 14. მიტრა; 16. არიბა; 18. კრაკოვი; 20. დარიალი; 23. კოკი; 24. ძიძია; 25. კოალა; 26. ხოტი.

**თარაზულად:** 7. ბარისტერი; 8. აბსოლუცია; 12. მელუა; 13. ანისი; 15. ბროლა; 17. ტაბაწყური; 19. კაისა; 21. დაფნე; 22. ფტორი; 27. კვირიკაძე; 28. კარტოფილი.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


18 მაისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.9654 | ევრო — 3.1181 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.6961 | 100 რუსული რუბლი — 4.5924 |

## ამინდის პროგნოზი 18 მაისისათვის




## ფრენკი დე იონგი შესაძლოა ბარსელონაში დარჩეს



ბარსელონის ჰოლანდიელი ნახევარმცველი ფრენკი დე იონგი შესაძლოა ბარსელონაში დარჩეს, რადგან ხავის მისი გაშვება არ სურს და ესპანელი სპეციალისტი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ დე იონგი ბარსელონიდან არ წავიდეს.

თვითონ ფეხბურთელი ჯერჯერობით ამ თემაზე კომენტარს არ აკეთებს.

შეგახსენებთ, მის სახელს ყველაზე მეტად მანჩესტერ იუნაიტედს უკავშირებენ.

## ლუის სუარესი კარიერის დასრულებას არ აპირებს



ურუგვაელი ფორვარდი ლუის სუარესი ზაფხულში მადრიდის ატლეტიკოს დატოვებს და თავისუფალი აგენტი გახდება. ის ჯერჯერობით კარიერის დასრულებას არ აპირებს. სუარესის შეძენა რამდენიმე კლუბს სურს. მათ შორის არის ინტერიც, თუმცა მილანელებმა ბოლო დღეებში უკან დაიხიეს.

ინტერის გარდა, სუარესის მიმართ ინტერესს ინგლისური გუნდებიც იჩენენ.

## დი მარია შესაძლოა იუვენტუსის ფეხბურთელი გახდეს



პსჟ-ს არგენტინელი ვინგერი ანხელ დი მარია გუნდის დატოვებასთან ახლოს არის და შესაძლოა მან კარიერა ტურინის იუვენტუსში გააგრძელოს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დი მარია მზად არის, იუვენტუსთან 2–წლიანი კონტრაქტი გააფორმოს, თავის მხრივ კი ტურინელები მის ტრანსფერში 20 მილიონს გადაიხდიან.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

– მგონი, მანქანა უნდა გამოვცვალო, შუქნიშანთან რომ ვჩერდები, პატრული მეკითხება ხოლმე, ავარიის მოწმე თუ გყავსო...

●●●

– დალევა გინდა?
– მინდა, რას ვსვამთ?
– ყავას.
– მაპატიე, არ ვსვამ.

●●●

ქალს თავი ორი მიზეზის გამო შეიძლება სტკიოდეს.
– მამაკაცი უნდა, მაგრამ არ ჰყავს.
– მამაკაცი ჰყავს, მაგრამ არ უნდა.

●●●

– ცოლმა ჩემთან ერთად რომ დაიწყო მგზავრობა, მხოლოდ მაშინ მივხვდი, თუ რას ნიშნავს სიტყვები „დაბრკოლება მარჯვნიდან“...

●●●

– თუ მართლა გჯერათ, რომ ქალი სუსტი სქესის წარმომადგენელია, სცადეთ და ღამით საბანი წაართვით...

●●●

– ამ დილაადრიან მამალს ასე რა უხარია?
– რატომ არ გაეხარდება რა, ამდენი ცოლი ჰყავს და არც ერთი სიდედრი...

●●●

– რით განსხვავდება დამნაშავეობასთან ბრძოლა დამნაშავეობისაგან?
– ერთ-ერთი მათგანი ორგანიზებულია...

●●●

– შესაშური პრობლემა – ფულის სათვლელი მანქანა გაფუჭდა...

●●●

– კარატეს სამი გაკვეთილის შემდეგ ნიკო სამი სანტიმეტრის სისქის ფიცარს თაბაშირით სულ ადვილად ამტვრევდა...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მატილდა გვარლიანი ლუი ვიტონის ჩვენებაზე გამოვიდა



ქართველი მოდელი მატილდა გვარლიანი მსოფლიოში ცნობილი ლუი ვიტონის ჩვენებაზე გამოვიდა.

ინფორმაცია ლუქ მოდელსმა გაავრცელა:

– მატილდა გვარლიანის მორიგი თავბრუდამხვევი წარმატება.

მატილდა ლუი ვიტონის 2023 წლის კრუიზული კოლექციის ჩვენებაზე.

ჩვენება სან დიეგოში, კალიფორნიაში გაიმართა.

## თბილისის კონსერვატორია 79 როიალს ყიდულობს



ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია 79 როიალს ყიდულობს.

შენაძენი კონსერვატორიას 31 მილიონი ლარი უჯდება.

ინფორმაციის გავრცელებამ საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია – ნაწილს მიაჩნია, რომ კონსერვატორიას ახალი როიალები ნამდვილად სჭირდება, მეორე ნაწილი კი თვლის, რომ ასეთი სოლიდური თანხის დახარჯვა მუსიკალურ საკრავებში მეტისმეტია.

## ეროვნული კინოცენტრის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შევიდა

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი
Georgian National Film Center

რეჟისორ ბესო სოლომანაშვილის ინფორმაციით, სასამართლოში ეროვნული კინოცენტრის წინააღმდეგ სარჩელი შევიდა:

– საქართველოს ეროვნული კინოცენტრის უკანონო გადაწყვეტილებაზე, ყოველგვარი განმარტებებისა და მიზეზების გარეშე გაეუქმებინა 2022-23 წლის სადებიუტო ფილმების კონკურსის ჟიური და ჩაენაცვლებინა სხვა ჟიურით და თან ფარულად, რაც კანონით დაუშვებელია, ოფიციალურმა ჟიურიმ შეიტანა სარჩელი კინოცენტრის ამ გადაწყვეტილების გასაუქმებლად.

დღემდე, უამრავი მცდელობის მიუხედავად, კინოცენტრის ადმინისტრაციას მინიმალური მცდელობაც არ ჰქონია, თუნდაც ეთიკის ნორმების ფარგლებში დაემყარებინა კომუნიკაცია უკანონოდ ჩანაცვლებულ ჟიურის წევრებთან, რომელთაც შეელახათ პროფესიული ღირსება და საქმიანი უფლებები.

მოარული ჭორები, რომ კინოცენტრმა ანაზღაურება გადაიხადა და ჟიურის წევრებს აღარ აქვთ პრეტენზია, სიმართლეს არ შეესაბამება.

ამ კვირაში სასამართლოში მიიღებენ შეტანილ სარჩელს წარმოებაში.

მოსამართლე – ირაკლი ხუსკივაძე.

## პაატა ბურჭულაძე მასტერკლასს ჩაატარებს



ოპერის მომღერალი პაატა ბურჭულაძე მასტერკლასს ჩაატარებს. 27 მაისს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში მომღერალი მსურველებს შეხვდება და საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებს. კონსერვატორიის სტუდენტებისთვის დასწრება უფასოა:

– სიმღერის ტექნოლოგია, საკუთარი ინსტრუმენტის მართვა მართლაც უნიკალური სწავლებაა. შესაძლოა, სადღაც „გადამალული“ გქონდეს ხმა და ნელ-ნელა მოქმედებაში მოიყვანო. არამხოლოდ ოპერის მომღერლებისთვის, რომლებსაც სიმღერის სურვილი აქვთ და სმენა ძალიან არ ღალატობთ, ყველასთვის სასარგებლო და ძალიან საინტერესო იქნება, – ამბობს ფონდ „იავნანას“ ხელმძღვანელი თეონა ჯორბენაძე.

საქველმოქმედო საღამოზე დასწრება ნებისმიერ მსურველს შეუძლია. მსოფლიოში აღიარებული ქართველი საოპერო მომღერლის ახალგაზრდა ვოკალისტებისთვის დაგეგმილ მასტერკლასს დავით ალადაშვილი გაუძღვება.

დამსწრე საზოგადოებას შეეძლება აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით მაესტროსთვის შეკითხვების დასმა. კონსერვატორიის სტუდენტების გარდა, მასტერკლასზე დასწრების სხვა მსურველთათვის ბილეთები გაიყიდება სიმბოლურ ფასად.

პროექტი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიისა და საქველმოქმედო ფონდ „იავნანას“ მიერ ერთობლივად ხორციელდება.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## რუსთაველის თეატრი ტრაპიზონის ფესტივალზე მიიწვიეს

რუსთაველის თეატრი

შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული თეატრი ტრაპიზონის რიგით 22-ე საერთაშორისო შავი ზღვის თეატრალურ ფესტივალზე მიიწვიეს.

2 დღის განმავლობაში თეატრი რეჟისორ თათა პოპიაშვილის სპექტაკლ „ჰედა გაბლერს“ ტრაპიზონის სახელმწიფო თეატრის სცენაზე წარმოადგენს.

სპექტაკლში მთავარ როლს ია სუხიტაშვილი ასრულებს.

## ლიკა კომახიძე „მასტერშეფიდან“ გაუშვეს




„მასტერშეფის“ სამზარეულო მისმა შეფებმა ლიკა კომახიძეს დაატოვებინეს.

საკონკურსო ტურში ლუკა ნაჭყებიამ, ლევან კობიაშვილმა, კონსტანტინე თედელურმა და თეკუნა გაჩეჩილაძემ შოუს პირველი სეზონის გამარჯვებული ია ძაგანია მოიწვიეს და კონკურსანტებისთვის მასტერკლასი ჩაატარებინეს.

შოუს მონაწილეთათვის მიცემული დავალებების შესრულების შემდეგ იმუნიტეტი აკაკი ცანკაშვილმა მოიპოვა, „მასტერშეფის“ სამზარეულოს დატოვება კი ლიკა კომახიძეს მოუხდა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 18 მაისისათვის

**ვერძი** – კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა იღბლიანია. ორგანიზებულობა და სითამამე დღის დევიზია. **კურო** – ილუზიებს ნუ აჰყვებით. საღი აზრი შეინარჩუნეთ. შორს გამგზავრება რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** – ახლობლები იმედს გაგიცრუებენ. პროფესიაში უკუსვლაა მოსალოდნელი. **კირჩხიბი** – დაისვენეთ, შეიცვალეთ გარემო. ახალი საქმის დასაწყებად ენერგია გჭირდებათ. **ლომი** – იდეების რეალიზებაში კოლეგები დაგეხმარებიან. შესაძლოა, დაგასაჩუქრონ. **ქალწული** – გარისკვა დღეს სასურველ შედეგს გამოიღებს. ფინანსურ ოპერაციებში გიმართლებთ. **სასწორი** – არაჯანსაღი გარემო, საკვები და ინერტულობა ჯანმრთელობას გაგიუარესებთ. ფიზიკური დატვირთვა დღეს სავალდებულოა. **ღრიანკალი** – რომანტიკული შეხვედრა ხასიათს გამოგიკეთებთ. ეცადეთ, დღეს ნაკლები იმუშაოთ. **მშვილდოსანი** – ერიდეთ კომერციულ გარიგებებსა და საქმიან შეხვედრებს. უმჯობესია, ეს დღე ოჯახურ ატმოსფეროში გაატაროთ. **თხის რქა** – ოფიციალურობა და სიხისტე არასასურველია. იყავით გულმოწყალე და მიმნდობი. **მერწყული** – სრულყავით პროფესიონალიზმი, შეისწავლეთ ახალი საქმე. სულიერებაზეც იზრუნეთ. **თევზები** – სოლიდური ორგანიზაციები თქვენ მიმართ ინტერესს ავლენენ. ეცადეთ, საკუთარი ნიჭი და უნარი ფართოდ წარმოაჩინოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ზოგიერთი მოლუსკის ორგანიზმში წარმოქმნილი ძვირფასი ქვა; 2. ნადირობისთვის გამოყენებული დიდი ტანის ბრიტანული ცხენი; 3. სპარსეთის ძველი დედაქალაქი; 4. ფრანგი ნევროპათოლოგი, ფსიქოთერაპიის ერთ-ერთი ფუძემდებელი; 5. ყველაზე დიდი ქალაქი შოტლანდიაში; 11. მდინარე სვანეთში; 12. პორტუგალიური ღვინო; 14. ყველაზე დიდი მდინარე პირინეის ნახევარკუნძულზე; 16. პოლიციის ქვედანაყოფი საქართველოში; 17. გაეროს ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 19. ქართული კინოკომედია „არ დაიდარდო“ რეჟისორი; 21. ჯეიმს ჯოისის რომანი; 22. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანი.

**თარაზულად:** 6. ყველისგულიანი ქართული ორცხობილა; 7. რაიონული ცენტრი კახეთში; 8. იაპონელი მოდელიერი; 9. ქართველი ასტრონომი, აკადემიკოსი; 10. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 13. ყურის ანთება; 15. საკუთარ ჯანმრთელობაში დაეჭვებით გამოწვეული ავადმყოფური შიში; 18. მუსლიმანური რელიგიური დოგმების ფანატიკოსი მიმდევარი; 20. ფრანგული ავტომობილი; 21. მაღალმთიანი სოფელი სვანეთში; 23. ქართველი მხატვარი; 24. მთიელ-გუდამაყრელთა მთავარი სალოცავი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

